# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 5 ივნისი 2008 №127 (3351) ფასი 50 თეთრი


## ძალიან ბანალური არაბანალური: პორტუ გალიაში

### მატჩების ჩაწყობათა საყურადღებოდ: აბა, შეხედეთ, სად არიან პორტუ და ბოავიშტა

საქმე აქეთკენ რომ მიდიოდა, დაახლოებით თვე-ნახევრის წინ გვეწერა. „პორტუს" კეთილსინდისიერებაში პორტუგალიური ფეხბურთის მესვეურებმა და სამართალდამცავებმა ეჭვი შეიტანეს, დანარჩენი კი ტექნიკისა და გამოძიების საქმე იყო. აი, ვერდიქტიც: მას შემდეგ, რაც შეისწავლა პორტუგალიის ჩემპიონატის მატჩებში მსაჯთა მოსყიდვის საქმე, უეფას კონტროლისა და სადისციპლინო კომიტეტმა გადაწყვიტა, მოკვეთოს „პორტუ" 2008-2009 წლების ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან.

პორტუელთა ერთადერთი კომენტარი ის არის, რომ კლუბი დაუყოვნებლივ გაასაჩივრებს ამ გადაწყვეტილებას.

უეფასეული გადაწყვეტილება კი პორტუგალიის პროფესიული ფეხბურთის ლიგის ვერდიქტს მოჰყვა, რომლის მიხედვითაც 2003-2004 წლების სეზონში ორი გარიგებული მატჩისთვის „პორტუ" 150 ათასი ევროთი დაჯარიმდა და აწ გასრულებულ სეზონში 6 ქულაც ჩამოეჭრა.

ამ ისტორიაში ყველაზე პიკანტური მომენტი კი ეგებ ის იყოს, რომ იმ სეზონში „პორტუს" მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ გახლდათ. ის მაურინიუ, რომელიც ორიოდ დღის წინ „ინტერის" მწვრთნელად დაინიშნა, ხოლო „ინტერმა", თავის მხრივ, ბოლო წლებში ორი სკუდეტო იმის წყალობით ჩაიბარა, რომ იტალიის ჩემპიონი „იუვენტუსი" მატჩების ჩაწყობაში ამხილეს...

თუმცა ესეც ვთქვათ: ჩაწყობილი მატჩების გამოძიებისას, უშუალოდ მაურინიუს გვარი არ ამოტივტივებულა.

სასჯელს მივუბრუნდეთ. 6 ქულის ჩამოჭრამ „პორტუ" იოტისოდენადაც ვერ აზარალა, რაკი ქვეყნის ჩემპიონი, მიჯრით მესამედ, 14-ქულიანი სხვაობით გახდა. აი, ჩემპიონთა ლიგიდან მოკვეთა კი...

პერსონალურად დაისაჯა კლუბის პრეზიდენტი ჟორჟე ნუნუ პინტუ და კოშტაც. ის ფეხბურთს ორი წლით ჩამოაშორეს და 10 ათასი ევროც გადაახდევინეს.

გამოძიება კი ოდენ „პორტუს" მხილებითა და დასჯით არ დასრულებულა. პორტუგალიის 2001 წლის ჩემპიონ „ბოავიშტას" მეორე დივიზიონში უკრეს თავი და 150 ათასი ევროს გადახდაც დააკისრეს.

ბუნებრივია, „პორტუს" და „ბოავიშტას" მხილებასთან ერთად ემხილნენ მსაჯებიც, რომლებმაც ამ გუნდებს საქმე გაუკეთეს. ოთხი მსაჯი 6-6 წლიანი ვადით მოიკვეთა.

გუშინ კი ისევ გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებით, ერთი ასეთი ამბავი გახმაურდა. გერმანიის მეოთხე სამოყვარულო ლიგის „რანკასელ ლანგერმს" ჩემპიონობისთვის ბოლო ტურში 37 გოლით უნდა მოეგო, თანაბარქულიანი „ნიპსისთვის" ბურთების შეფარდებით რომ გადაესწრო. და როგორ გგონიათ: მოახერხა! „რანკასელმა" „ლევის" 54:1 მოუგო... ამ შედეგით გამოძიება, ცხადია, დაინტერესდა.

საქართველოში კი, ჩაწყობილი მატჩების თვალსაზრისით, ჯერჯერობით სიმშვიდეა...

## იმან თუ იცის, ჩვენ რომ ვიცით?

### ივნისი მწვრთნელისთვე იქნებაო



## გადამწყვეტი ბრძოლის წინ

### გიორგი შერმადინი ამერიკამ ჯერ ვერ აღმოაჩინა



27 ივნისს ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში" ნბა-ს მორიგი დრაფტია, რომელიც ჩვენთვის კვლავაც საინტერესოა. აქამდე ოთხი ქართველია ადრაფტზე არჩეული — ვლადიმერ სტეფანია, ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ზაზა ფაჩულია, ვიქტორ სანიკიძე — ახლა კი მეხუთეს ველით. გეხსომებათ, რომ გიორგი შერმადინს განაცხადი შეტანილი აქვს.

დღეიდან კი ნბა-ს კლუბები უპრიველეს საკალათბურთო ლიგაში მოხვედრის მსურველებს კარს გაუღებენ და შერმადინიც მათ შორის იქნება.

ოღონდ ერთიც არის, რომ ჯერჯერობით ამერიკულ გაზეთებში, თითქმის არაფერი წერია ქართველ ახალგაზრდაზე და ამიტომაც საფიქრებელია, რომ შერმადინის აყვანის შანსი მაინცდამაინც მაღალი არაა.

დღეს ღამე კი ნბა-ში ფინალური სერია იწყება: ლეგენდარული წყვილი, ბოსტონი და ლეიკერსი შეებმებიან ერთმანეთს და დრაფტის მოლოდინი ერთი ხანობა მეორეხარისხოვნად იქცევა.

# არის მთავარი და თან ინკოგნიტო



გაგა კიკოლაშვილის ფოტო

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის გენმდივანი უჩა უგულავა ორიოდ დღის წინ დაბრუნდა სიდნეიდან, სადაც ფიფას კონგრესს ესწრებოდა. განსახილველ-დასამტკიცებელი იქ ბევრი საკითხი იყო, თუმცა ევროპული ფეხბურთისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ლეგიონერების ამბავი გახლდათ. მოგეხსენებათ, ფიფა ევროპულ კლუბებში ასეთი ინიციატივით გამოვიდა — ძირითად შემადგენლობაში არაუმეტეს ექვსი ლეგიონერი უნდა იყოს. სიდნეიშიც ყველაზე მეტი სჯა-ბაასი სწორედ ამ საკითხის განხილვას მოჰყვა, თუმცა...

— არა, კონკრეტული გადაწყვეტილება ვერ მივიღეთ, უეფამ ითხოვა, რომ ამ ეს საკითხი ევროკავშირთან შეთანხმებულიყო და ბოლოს სწორედ ამაზე შევთანხმდით, ფიფას კონსულტაციები ევროკავშირთან ექნება და საბოლოო პასუხსაც მაშინ იტყვის — გვითხრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ** — ამავე კონგრესზე ხმათა უმრავლესობით ფეხბურთელთა ნატურალიზაციის საკითხიც მოგვარდა. ფეხბურთელმა ახლა უკვე ხუთი წელიწადი უნდა ითამაშოს იმ ქვეყანაში, რომელი ქვეყნის ნაკრებში თამაშიც სურს. ნატურალიზაციის საკითხთან დაკავშირებით ერთი შეზღუდვაც ის არის, რომ პრივილეგიები არც 18-წლამდე ფეხბურთელებზე გავრცელდება.

— ანუ...

— ფიფასა და უეფას სურვილი ადგილობრივი ფეხბურთელების დაწინაურებაა...

— საქართველოს ნაკრების მწვრთნელის საკითხი კი ისევ გაურკვეველია. ამ მხრივ რა არის ახალი?

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ივნისის ბოლოსკენ ალმასკომს იმ მწვრთნელთა კანდიდატურებს წარუდგენს, რომლებსაც ფედერაცია განიხილავს. ალმასკომს ყველაფერს დეტალურად მოვახსენებთ და მერე უკვე საბოლოო გადაწყვეტილებასაც მივიღებთ.

— კანდიდატთა გვარებს ვერ გვეტყვით? ფინკე, ოლსენი, კიდევ...

— არის ერთიც, ოღონდ ჯერჯერობით მის ვინაობას ვერ გავამხელ, მასთან ჯერ მოლაპარაკებებიც არ წამოგვიწყია და იმიტომ...

— რომელი ქვეყნიდანაა?

— მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ბოლო დროს სახელოვან კლუბებში მუშაობდა.

— მაშ ის გვითხარით, ნაკრების მწვრთნელი როდის დაინიშნება?

— ამ თვეში.

**ძოგა ინასარიძე**



# ფინანს ირლანდია მოუნდა

**ინგლისური** „ლივერპულის“ ირლანდიელი მცველი სტივ ფინანი, რომელმაც ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის შემდეგ ნაკრებში თამაშზე უარი თქვა, შესაძლოა, ეროვნულ გუნდში დაბრუნდეს.

32 წლის ფეხბურთელმა კლუბის ოფიციალური ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში აღიარა, რომ ჯოვანი ტრაპატონის ხელმძღვანელობით თამაში სურს.

„ასეთი დონის სპეციალისტთან მუშაობის პერსპექტივა მიმზიდველია. ჩემთვის არ მოუთხოვიათ ზუსტი თარიღის დასახელება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ტრაპატონი ჩემს გადაწყვეტილებას მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩამდე ელის“ — აცხადებს ფინანი, რომელსაც ეროვნულ გუნდში 50 მატჩი აქვს ჩატარებული.

ირლანდიის ნაკრები მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მეტოქეა და ტურნირის პირველ მატჩს ტრაპატონის შეგირდები 6 სექტემბერს თბილისში ჩაატარებენ.

**ძახა შალამბერიძე**

# გიორგი ფოფხაძის ოდენსე და სხვებიც

## დანიაში დაფასებას ყოველთვის ვგრძნობდი

„ვიბორგი“ დანიური სუპერლიგიდან გავარდა, თუმც, სავარაუდოდ, გიორგი ფოფხაძე გუნდში არ დარჩება. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების 21 წლის ფეხბურთელი „ვიბორგის“ გულშემატკივრებმა კლუბის სეზონის საუკეთესოდ აღიარეს, რაც ორმაგად დასაფასებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ გიორგი მცველია, ხოლო „ვიბორგმა“ ჩემპიონატში ყველაზე ბევრი გოლი გაუშვა.

...გიორგის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დგება: ოჯახს ქმნის და 7 ივნისს ქორწილი აქვს, რასაც „სარბიელის“ რედაქცია სულით და გულით ულოცავს და დიდ ბედნიერებას უსურვებს ახალგაზრდა წყვილს!



— „ვიბორგის“ სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დაგასახელეს, რაც დიდი პატივი უნდა იყოს შენთვის...

— ძალიან გამიხარდა. გუნდში თითქმის ყველაზე პატარა ვარ, თან უცხოელი და... რა ვთქვა, მიხარია, რომ „ვიბორგის“ გულშემატკივრებს ასე ვუყვარვარ, მათგან დაფასებას ყოველთვის ვგრძნობდი.

— პრიზად რა გადმოგცეს?

— საშინაო მატჩი გვქონდა და ოფიციალურად დამაჯილდოვეს. ორმა ბავშვმა გადმომცა ლამაზი დიდი თასი წარწერით „გიორგი ფოფხაძე“ — საუკეთესო 2007-2008 წლებში“. კიდევ, ყვავილების თაიგული გადმომცეს. ჰო, ეს ბავშვები ინვალიდები იყვნენ და მათაც ძალიან გაიხარეს, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ ამ რიტუალში მიაღებინა მონაწილეობა.

— დანიის ჩემპიონატის საზომით, „ვიბორგი“ არცთუ უსახელო კლუბია და რა იყო გავარდნის მთავარი მიზეზი?

— „ვიბორგი“ სახელითაც და ფინანსებითაც ბევრს არ ჩამოუვარდება დანიაში, სეზონის წინ 7-8 ახალი ფეხბურთელი მოიყვანეს, მათ შორის, ინგლისური „ევერტონიდან“ და დანიური „კოპენჰაგენიდან“. თუმც გუნდში ვერ იყო კარგი მდგომარეობა, ახალმა მწვრთნელმა თავისი ფეხბურთელები მოიყვანა და მას სამართლიანად აკრიტიკებდნენ, რადგან უცნაურ შემადგენლობას აყენებდა. ჩემპიონატის სტარტზე არც მე მათამაშებდა, თუმც ზედიზედ წაგებების მერე მიხვდა, რომ რაღაც შესაცვლელი იყო და რამდენიმე კაცი ძირითადში დაგვაბრუნა. იმ პერიოდში ქულებიც ავკრიფეთ, მაგრამ საბოლოო ჯამში, მაინც გავვარდით.

— ტრადიციულად მარცხენა მცველად თამაშობდი?

— რამდენჯერმე ნახევარდაცვაში ვითამაშე, ისე კი, თითქმის სულ მარცხენა მცველი ვიყავი.

— ახლა რას აპირებ — „ვიბორგს“ ქვედა ლიგაში ჩაჰყვები?

— ერთი წელი დამრჩა კონტრაქტით, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობას ვუთხარი, ქვედა ლიგაში თამაშს არ ვაპირებ-მეთქი. ეგაა, „ვიბორგი“ იოლად ნაღდად არ შემელევა, არცთუ მცირე თანხას მოითხოვენ...

— რომელი კლუბებისგან გაქვს მოწვევა?

— დანიის სუპერლიგის რამდენიმე გუნდია დაინტერესებული, მათ შორის, „ოდენსე“. ისე, „ვიბორგი“ არც მალავს, რომ მხოლოდ სამი ფეხბურთელი ჰყავს ისეთი, რომელთაგან ფინანსეურ მოგებას ნახავს. მათგან ერთ-ერთი მე ვარ. ქალაქს შევეჩვიე, აქაურობა ძალიან მომწონს, მაგრამ ამის გამო ქვედა ლიგაში თამაში მაინც არ მიმაჩნია სწორად. საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თამაში მინდა და ეტყობა, „ვიბორგი“ ვერ აკმაყოფილებს სანაკრებო დონეს...

— ბოლო მატჩებში კი არც ახალგაზრდულ ნაკრებში გიძახებდნენ...

— რუსეთთან მატჩის წინ ხელი მოვიტეხე და საკმაო დრო გამიცდა. ვნანობ, რომ ეს მაინცდამაინც რუსეთის წინ მოხდა, თორემ იმ ლამაზ თამაშში მეც მივიღებდი მონაწილეობას. პეტარ სეგრტი ჩემით ნამდვილად არაა უკმაყოფილო, კარგი ურთიერთობა გვაქვს. რამდენადაც ვიცი, ეროვნულ გუნდში ახალი მწვრთნელი გვეყოლება და ღმერთმა ქნას, ყველაფერი კარგისკენ შეიცვალოს. საქართველოს ცუდი ფეხბურთელები არ ჰყავს, ასე რომ, მომავალს იმედიანად ვუყურებ.

— და ერთიც, დანიის ქვედა ლიგაში ერთი ქართველი მიხეილ ბარაბაძე თამაშობს. რას გვეტყვი მასზე?

— გაოცებული ვარ, ისე კარგად თამაშობს, არადა, საქართველოში მხოლოდ „თბილისში“ იყო ცოტა ხნით. 18 წლის თავდამსხმელია, თავის გუნდში (ჰიკ) საუკეთესოა. იმიტომ არ ვამბობ, რომ ბარაბაძე ქართველი — 8 მატჩში 6 გოლის გატანა მართლაც საქმეა. ვიცი, რომ მისით დანიის სუპერლიგის გუნდები დაინტერესდნენ.

**ილია ნანოგაშვილი**

## ამხანაგური მატჩები

ესტონეთი 4:3 ფარერები
რუსეთი 4:1 ლიტვა
ესპანეთი 1:0 აშშ
იამაიკა 5:1 სტ. ვინსენტი
ანდორა 1:2 აზერბაიჯანი
უნგრეთი — არგენტინა
გადაიდო

## იტალია

სერია B. პლეი ოფი. ნახევარფინალი. I მატჩები

პიზა 0:1 ლეჩე
ბრეშა 1:0 ალბინოლეფე

## ნორვეგია

ტიპელიგა
X ტური

რუსენბორგი 1:1 ბრანი

## შვედეთი

სუპერეტა
IX ტური

ბრომაპოიკარნა 3:1 სირიუსი
ენჩოპინგი 4:1 იონკოპინგი
ფალკენბერგი 0:0 მიალბი
კვიდინგი 0:0 ბუნკეფლო

## სლოვენია

პლეი ოფი
I მატჩი

დრავა 2:0 ბონიფიკა

## უნგრეთი

თასი. ფინალი
საპასუხო მატჩი

დებრეცენი 2:1 ჰონვედი (7:0)

# სახოკია მიკაში ისინჯება



**თბილისის** „ვიტ ჯორჯია“ ახალი სეზონისთვის მზადებას 11 ივნისს შეუდგება. ისე კი, გუნდი 9 ივნისს შეიკრიბება და 10-ში სამედიცინო შემოწმებას გაივლის.

როგორც შევიტყვეთ, ნესტორ მუმლაძის გუნდი უკვე დატოვა თავდამსხმელმა ზაზა სახოკიამ, იგი სომხურ „მიკაშია“ გასინჯვაზე.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ ამ გუნდში ჩარიცხვას ვიტალი დარასელია, რატი ალექსიძე და მიხეილ ბობოხიძე ცდილობდნენ, თუმც ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

**ლუკა თალაკვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეს ჯერ დასაწყისია

საქართველოს მე-19 ეროვნულ ჩემპიონატში რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელმა ითამაშა გამორჩეულად. მათ შორისაა რუსთავის „ოლიმპის“ ნახევარმცველი დავით დევდარიანი. ხორვატმა მწვრთნელმა პეტარ სეგრტმა დევდარიანი ჯერ ახალგაზრდულ ნაკრებში იხმო, შემდეგ კი ეროვნული გუნდის კარიც გაუღო. „ოლიმპის“ ნახევარმცველი გუშინ რედაქციაში გვესტუმრა და, რაღა თქმა უნდა, პირველად ეროვნულ ნაკრებზე ვკითხეთ...



— ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ოცნება ამიხდა და ეროვნულ ნაკრებში ვითამაშე. ეს სულ სხვა პასუხიმგებლობაა, იქ სულ სხვა განწყობაა. ყველა გამოცდილი ფეხბურთელი გამხნევებს და რჩევებს გაძლევს, რაც ახალგაზრდა ფეხბურთელს თავისთავად სტიმულს ჰმატებს.

— ეროვნულ ნაკრებში პირველად პორტუგალიასთან ითამაშე. თავიდან ფსიქოლოგიურად არ გაგიჭირდა?

— ესტონეთთან თამაშმა არ მომიწია და სანამ პორტუგალიასთან მატჩი მოვიდოდა, სულ მოედანზე გასვლაზე ვოცნებობდი. პეტარ სეგრტმა საბრძოლო განწყობაზე დაგვაყენა. გვიხსნიდა, რომ მიუღწეველი არაფერია და უშიშრად გვეთამაშა. მგონი, ბრძოლა არ დაგვიკლია, სათამაშო კლასში კი, რა თქმა უნდა, განსხვავება იყო.

— ნაკრებში კი გქონდა დებიუტი, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკვე ადგილი დაიმკვიდრე...

— ვიცი, რომ ეს დასაწყისია, ჯერ უამრავი მაქვს სათამაშო და დასამტკიცებელი. ეროვნულ ნაკრებში სტაბილურად რომ ითამაშო, ამას დიდი შრომა და თავდადება სჭირდება.

— პორტუგალიის ნაკრებზე მთლიანობაში რა შთაბეჭდილება შეგექმნა?

— ყველა ვარსკვლავია — რონალდუ, დეკუ, კარვალიუ... ძალიან ტექნიკურები არიან, არც ერთ ზედმეტ მოძრაობას არ აკეთებენ. მათთან თამაშმა ახალგაზრდებს დიდი გამოცდილება შეგვძინა.

— საკმაოდ წარმატებული სეზონი გქონდა — ჯერ ახალგაზრდულ ნაკრებმა გიხმეს, ახლა კი შანსი ეროვნულშიც მოგეცა...

— პეტარ სეგრტმა დიდი ნდობა გამომიცხადა და, რა თქმა უნდა, მადლობელი ვარ. არ შემიძლია, არ ვახსენო „ოლიმპის“ ყოფილი მწვრთნელი ანატოლი პისკოვეციც — წარმატებული სეზონი რომ მქონდა, მისი დიდი დამსახურებაა. ძირითადში ადგილი მან მანდო და აქედან დაიწყო ჩემი წინსვლა.

— პირველ წრეში უკეთესად გამოიყურებოდი, მეორე წრის დასაწყისში თბილისის „დინამოსთან“ განსაკუთრებით კარგად გაისარჯე, შემდეგ კი სტაბილურობა გაკლდა...

— ზამთრის მოსამზადებელი პერიოდი ფილტვების ანთების გამო, ფაქტობრივად, გამიცდა. პირველ ორ თამაშში კიდევ მოვიკრიბე ძალა შემდეგ კი ფიზიკურად გამიჭირდა... თუმც სეზონის ბოლოსკენ არა მიშავდა.

— პორტუგალიასთან მატჩშიც გამოჩნდა, რომ ფიზიკური მომზადება გაკლია...

— ძალიან ბევრი მაქვს ამ მხრივ გამოსასწორებელი და ამას, რაღა თქმა უნდა, ბევრი ვარჯიშით დავძლევ.

— „ოლიმპთან“ კონტრაქტი დაგიმთავრდა და რას აპირებ?

— ჯერ ხელმძღვანელებთან არ მისაუბრია და თუ უცხოეთში არ წავედი, „ოლიმპში“ ვითამაშებ.

— გაქვს უცხოური გუნდების ვარიანტები?

— ჯერ ვერაფერს გეტყვით... ყველაფერი რამდენიმე დღეში გაირკვევა.

— შოთა არველაძის ბენეფისმატჩს ესწრებოდი და ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის ასეთი მატჩები რამდენად მნიშვნელოვანია?

— რა თქმა უნდა, ყველა ფეხბურთელი ოცნებობს, რომ თავის ქვეყანაში ასე დააფასონ. შოთა ძალიან დიდი ფეხბურთელი იყო და დასანანია, რომ მის გვერდში არ მომიწია თამაშმა. მიხარია, რომ ასეთი ლამაზი გაცილება მოუწყვეს შოთას და კარგი იქნება, თუ ასეთი გამოსამშვიდობებელი მატჩები ტრადიციად იქცევა.

**ნუკრი ლოლაძე**



დავით დევდარიანმა (№11) წლეულს ახალგაზრდულ ნაკრებშიც ითამაშა და ეროვნულშიც

# ჯელაძეს წრე დაასრულებინეს

**უსტ-კამენოგორსკის** „ვოსტოკის“ ქართველი მცველი ზვიად ჯელაძე კლუბს ყაზახური პრემიერლიგის პირველი წრის ბოლომდე ვერ დაეხმარება.

ჯელაძეს ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მე-11 ტურში, „ატირაუსთან“ (0:0) შეხვედრის შემდეგ ატეხილი აყალმაყალისა და არასპორტული საქციელისთვის მისცეს.

„ჩემპიონატში პრობლემები ისედაც გვაქვს და ამ ყოველივეს ჯელაძის დისკვალიფიკაცია დაერთო. რა უნდა ვქნათ, ამ პოზიციაზე სხვა მოთამაშის გამოყენება მოგვიწევს, 4 მატჩი ცოტა არ არის“ — თქვა „ვოსტოკის“ წარმომადგენელმა.

**ბახა შალამბერიძე**

# იბერია ბრაზილიას ითვლის

**5 ივლისს** ფუტსალში ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრა გაიმართება და საქართველოს ჩემპიონ „იბერია 2003-ის“ მეტოქეც გაირკვევა.

შეგახსენებთ, „იბერია 2003“-მა საქართველოს ჩემპიონატში 42 ქულით მოიპოვა ჩემპიონობა და უახლოეს მდევარ „ყაზბეგს“ 13 ქულით გაასწრო.

„იბერია 2003“-მა უკვე დაიწყო ჩემპიონთა ლიგისთვის მზადება. ამჟამად გუნდში 6 ქართველ ფეხბურთელთან ერთად, 3 ბრაზილიელი ლეგიონერიცაა. როგორც გავიგეთ, სამხრეთამერიკელთა რაოდენობა, შესაძლოა, ხუთამდე გაიზარდოს.

კლუბი ივნისში თბილისში მოემზადება, 2 ივლისიდან კი ურეკში ორკვირიან შეკრებას გაივლის.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ნუკრი რევიშვილის სრული დატვირთვა

**რუსული** პრემიერლიგის ლიდერი ყაზანის „რუბინი“ მოსკოვშია და ევროპის ჩემპიონატით გამოწვეული პაუზის პირველ შეკრებას გადის. გუნდთან ერთად სამივე ქართველი ვარჯიშობს — ლაშა სალუქვაძე, ნუკრი რევიშვილი და დავით კვირკველია, რომელიც საქართველოს ნაკრებიდან შეუერთდა გუნდს.

გეხსომებათ, კვირკველიამ ესტონეთთან მატჩში მცირე ტრავმა მიიღო და პორტუგალიასთან მატჩიც გამოტოვა. თუმცა ახლა ყველაფერი გამოსწორდა და ჩვენებურიც გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

როგორც იქნა, ტრავმა სრულად მოირჩინა რევიშვილმაც...

„შეკრება 28 მაისს დავიწყეთ და უკვე გუნდთან ერთად ვვარჯიშობ. აქამდე ინდივიდუალურად, მსუბუქად ვირჯიბოდი, ახლა კი სრულად მტვირთავენ. გაცდენილი დრო ასანაზღაურებელი მაქვს და გულმოდგინედ ვემზადები — „რუბინშიც“ და საქართველოს ნაკრებშიც სერიოზული კონკურენციაა და ძირითადში მოსახვედრად უნდა ვიბრძოლო“ — გვითხრა გუშინ რევიშვილმა.

„რუბინი“ შეკრებას 7 ივნისს „სატურნთან“ მატჩით დაასრულებს, შემდეგ ფეხბურთელებს მცირე შესვენება ექნებათ და ქართველებსაც საქართველოში ჩამოსვლის საშუალება მიეცემათ. 12 ივნისს კი ჩვენებურები „რუბინს“ უკვე ავსტრიაში შეუერთდებიან და მეორე შეკრებას იქ გაივლიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# საქართველომ ერთით წაიწია

**ბოლო** ერთი თვის განმავლობაში საქართველოს ნაკრებმა ორი ამხანაგური მატჩი გამართა — ერთი ფრე, ერთი წაგება, რამაც ფიფა-„კოკა-კოლას“ რეიტინგში გუნდს მინუს 6 ქულა მოუტანა, თუმც ერთი საფეხურით მაინც წინ წაიწია და ახლა მე-80 ადგილზეა.

ნაკრების წინსვლა უფრო სხვა გუნდების უნიათო თამაშის ბრალია.

ჩვენი თანაჯგუფელებიდან ყველაზე დიდი პროგრესი ჩერნოგორიის ნაკრებს აქვს, რომელმაც 8 საფეხურით წაიწია და უკვე 142-ე ადგილზეა (ორი თვის წინ 175-ე იყო). რეგრესი აქვთ ირლანდიას (მინუს 1 ადგილი) და კვიპროსს (მინუს 6 ადგილი). იტალიამ და ბულგარეთმა პოზიციები შეინარჩუნეს.

პირველ ათეულში ერთი ცვლილებაა — მეცხრე საფეხურზე მყოფ პორტუგალიას ადგილი მეთერთმეტეადგილოსანმა ინგლისმა გაუცვალა. ლიდერები კი ისევ სამხრეთამერიკელები არიან — თამადა არგენტინა ალავერდს ბრაზილიასთან გადადის.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

Coca-Cola FIFA WORLD RANKING

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 1 | არგენტინა | 1559 |
| 2 | 2 | ბრაზილია | 1513 |
| 3 | 3 | იტალია | 1424 |
| 4 | 4 | ესპანეთი | 1303 |
| 5 | 5 | გერმანია | 1274 |
| 6 | 6 | ჩეხეთი | 1246 |
| 7 | 7 | საფრანგეთი | 1143 |
| 8 | 8 | საბერძნეთი | 1133 |
| 9 | 11 | ინგლისი | 1123 |
| 10 | 10 | ჰოლანდია | 1111 |
| 18 | 18 | ბულგარეთი | 949 |
| 42 | 41 | ირლანდია | 674 |
| 64 | 58 | კვიპროსი | 503 |
| 80 | 81 | საქართველო | 383 |
| 142 | 150 | ჩერნოგორია | 180 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

# ქართველთა შტურმი

## შაშიაშვილთან მატებაა: კანდელაკი ჩავიდა, ბურდული ჩადის

### გრაცში სხვებსაც ელიან



**ავსტრიული** „შტურმი" ინტერტოტოს თასისთვის ემზადება და შეკრება უკვე დაიწყო. გუნდთან ერთად არის ქართველი ლეგიონერი გიორგი შაშიაშვილი, რომელსაც ბოლო ტურებში ტრავმა აწუხებდა, თუმც უკვე ვარჯიშს შეუდგა...

„ტრავმა სრულად მოვირჩინე, ჯანზე ვარ და ჩვეული ფორმა დავიბრუნე. პირველი შეკრება ნაყოფიერად მიმდინარეობს და წარმატების იმედიც გვაქვს. მართალია, გასული სეზონის მეორე ნახევარი ჩაგვივარდა, მაგრამ ახალისთვის დიდი მონდომებით ვემზადებით" — გვითხრა გუშინ შაშიაშვილმა.

არ არის გამორიცხული, „შტურმი" სამომავლოდ კიდევ უფრო „ქართული" გახდეს. გუშინ საღამოს გრაცში ილია კანდელაკი ჩავიდა და დღეს გუნდთან ერთად ივარჯიშებს. გრაცელები კანდელაკის გარდა სხვა ქართველებსაც ელიან.

„კანდელაკს წუთი წუთზე ველით, ხვალიდან კი ჩვენთან ერთად ივარჯიშებს. რა გადაწყვეტილებას მიიღებენ მხარეები, მომავლის ამბავია. „შტურმში" უნდა ჩამოვიდეს ვლადიმერ ბურდულიც, თუმც თარიღს ზუსტად ვერ გეტყვით. აქაურებს კიდევ რამდენიმე ქართველ ფეხბურთელზე აქვთ ინფორმაცია და, შესაძლოა, რომელიმე მათგანი უახლოეს მომავალში შემოგვიერთდეს".

გეხსომებათ, „შტურმში" სანდრო იაშვილისა და გიორგი მაკარიძის გადასვლაზეც იყო საუბარი, თუმც როგორც შაშიაშვილმა გვითხრა, მათი ტრანსფერები არ შედგება...

„იაშვილთან დაკავშირებით, როგორც ვიცი, კლუბები ვერ შეთანხმდნენ, თორემ სანდრო მაისის ბოლოსთვის უნდა ჩამოსულიყო. ადრე მაკარიძეზეც იყო საუბარი, ახლა კი არანაირი მოლაპარაკება არ მიდის. ისე, ვიცი, რომ ის ფეხბურთელები, რომლებსაც აკვირდებიან, საქართველოს ჩემპიონატში თამაშობენ".

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



ლადო ბურდული



ილია კანდელაკი

ზაქათალის „სიმურგში" მყოფ ქართველებს, დავით ბოლქვაძესა და კახა ჩხეტიანს აზერბაიჯანელებთან კონტრაქტი ამოეწურათ. ბოლქვაძე იჯარით იყო „სიმურგში" და ახლა ისევ „ამერის" განკარგულებაშია, ჩხეტიანი კი მშობლიურ ქუთაისში ისვენებს და ჩვენც იქ შევეხმიანეთ...

# კახა ჩხეტიანი: სიმურგში კიდევ ერთი წლით დავრჩი



— „სიმურგთან" კონტრაქტი დაგიმთავრდა, რას აპირებ?

— ისევ აზერბაიჯანში ვრჩები. „სიმურგთან" კიდევ ერთწლიან კონტრაქტს უკვე მოვაწერე ხელი.

— იქ გატარებული სეზონით კმაყოფილი ხარ?

— ნორმალური კლუბია, იქაურებიც თბილად გვექცევიან, პატივს გვცემენ. მე და დათო ბოლქვაძე ჩვენს საქმეს ვაკეთებდით, ვფიქრობ, კარგადაც და ამიტომაც არ გვაკლდა ყურადღება. მთლიანობაში კმაყოფილი ვარ.

— სეზონი „ზესტაფონში" დაიწყე და აზერბაიჯანში დაამთავრე. მაინც რითი განსხვავდება ჩვენი და მათი ჩემპიონატების დონე?

— ვერ ვიტყვი, რომ უსაშველოდ დიდი სხვაობაა, მაგრამ აზერბაიჯანის ჩემპიონატი უფრო მაღალი დონისაა, ფინანსურად ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. იქ პირველი ექვსეულის გუნდები უფრო ძლიერები არიან, კარგი ლეგიონერებიც ჰყავთ, ფიზიკურად ძლიერები... მთელი თამაში უნდა ირბინო, თორემ, შესაძლოა, მოედანზე დაიკარგო. საქართველოში იყო მატჩები, რომელთა შემდეგაც კიდევ თავისუფლად შეგეძლო, გეთამაშა. იქ ასე არ არის — ყველა შეხვედრაში ბოლომდე იხარჯები. თუმცა კონფლიქტური სიტუაციებიცაა, ოღონდ ეს უფრო აუტსაიდერების მატჩებში.

— შენ არყოფნაში „ზესტაფონმა" ნავსი გატეხა და თასი მოიგო...

— მოხარული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს მოახერხეს თასის აღება. კარგი იყო, ეს ჩემი იქ თამაშის დროს მომხდარიყო. ეტყობა, ყველაფერი ბედის საქმეა...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ველომრბოლი გვაზავა

**ვლადივოსტოკის** „ლუჩ-ენერგიამ" რუსეთის ჩემპიონატში არსებული პაუზით ისარგებლა და ავსტრიაში შეკრებას გადის. ვარჯიშები ორჯერადია — დილით ფიზიკური დატვირთვა, საღამოს მსუბუქი წვრთნა, თუმც გუშინ მწვრთნელმა ბორან ვულიჩმა გამონაკლისი დაუშვა.

ფლახაუში საღამოს იწვიმა და მწვრთნელმაც ფეხბურთელები ველოსიპედებით გააჯიბრა ერთმანეთს — 10 წრე სტადიონს ყველაზე სწრაფად ლევან გვაზავამ დაარტყა.

„საინტერესო იყო, თუმც ამაზე არც მიფიქრია — ისე მოხდა, რომ ფინიშთან პირველი მივედი. ისე, ბიჭებსაც თავი არ მოუკლავთ და ამას ინტერესი არ აქვს" — განაცხადა გამარჯვებულმა.

ორკვირიანი შესვენება გვაზავამ საქართველოში, ოჯახში გაატარა და, როგორც ჟურნალისტებს განუცხადა, დასვენება დამთავრდა, ახლა მთლიანად ვარჯიშზეა გადართული.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გიგიაძე ისევ ტავრიაში



**ახტირკის** „ნაფტოვიკის" ქართველი თავდამსხმელი ვასილ გიგიაძე სიმფეროპოლის „ტავრიაში" გადადის — მხარეები უკვე თითქმის ყველა პირობაზე შეთანხმებულნი არიან და კონტრაქტიც დღე-დღეზე უნდა გაფორმდეს.

გიგიაძე „ნაფტოვიკში" კრივოი როგის „კრივბასიდან" იყო განათხოვრებული, თუმცა ახალ გუნდს ვერ მოერგო და მთელი მეორე წრე უქმად იყო.

ახლა კი... გიგიაძეს მშველელად ძველი კლუბი მოევლინა — სწორედ „ტავრიაში" გაილაღა თავის დროზე გიგიაძემ და იქ თამაშით გაითქვა სახელი უკრაინაში. 2000-03 და 2004-05 წლების ეზონებში ვასომ „ტავრიას" მაისურით 96 მატჩში 33 გოლი გაიტანა.

**კახა შალამბერიძე**

# მამალაძე გაბალასგან პასუხს დღე-დღეზე ელის

**აზერბაიჯანულ** „გაბალაში" ოთხი ქართველი ირიცხება — ზურაბ მამალაძე, ირაკლი ვაშაკიძე, თორნიკე აფციაური და გიორგი გაბიდაური.

სეზონი ახლახან დასრულდა და ის ფეხბურთელებიც შვებულებას სამშობლოში ატარებენ. პეტარ სეგრტს ზურაბ მამალაძე საქართველოს ნაკრების გაფართოეუბლ სიაში ჰყავდა და აფხაზეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში ერთი ტაიმიც ათამაშა, თუმც ესტონეთში აღარ იახლა. როგორც აზერბაიჯანული მედია იუწყება, „გაბალა" მამალაძესთან და ვაშაკიძესთან თანამშრომლობას აღარ აპირებს. თავად მამალაძემ კი ეს გვითხრა: „კონტრაქტი დამიმთავრდა, მაგრამ შესაძლოა, ისევ „გაბალაში" ვითამაშო, აზერბაჯანელები პასუხს უახლოეს დღეებში მეტყვიან".

**ნუკრი ლოლაძე**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი



ანტონიო კასანო

## ამხანაგური მატჩი

**საფრანგეთი 1:0 კოლუმბია**

1:0 რიბერი (24პ)
საფრანგეთი: კუპე, სანიოლი, გალასი, ტურამი, აბიდალი, მალუდა, მაკელელე, ტულალანი, რიბერი (ნასრი 76), ანრი (ანელკა 76), ბენზემა (დიარა 67)
მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი
გაფრთხილება: ერნანდესი, ანრი
მსაჯი: მაიკ დინი (ინგლისი)
78 000 მაყურებელი

**ტიერი ანრიმ** კოლუმბიასთან მესხედ მოირგო ნაკრების მაისურა და „ასიან ფრანგთა" მეექვსე წევრი გახდა ლილიან ტურამის, მარსელ დესაის, ზინედინ ზიდანის, პატრიკ ვიეირასა და დიდიე დეშანის შემდეგ. ტურამისთვის კი ეს თამაში 140-ე იყო და მის რეკორდს ალბათ დიდხანს ვერავინ წაეპოტინება.

საიუბილეო მატჩში ტიერი ანრიმ გოლი ვერ გაიტანა, მაგრამ მისი წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ფრანკ რიბერიმ გამოიყენა.

## ასიანი ანრი



რაიმონ დომენეკმა კოლუმბიასთან ის შემადგენლობა გაიყვანა, რომელსაც პირველ შეხვედრაში 9 ივნისს რუმინეთთან ათამაშებს.

დაცვის ცენტრში გამოცდილი ტურამი და გალასი იყვნენ, ნახევარდაცვაში კი ჩვეულად ირჯებოდა მაკელელე ტულალანთან ერთად.

ქარიმ ბენზემამ ამ მატჩშიც რიგიანად ითამაშა და ალბათ სწორედ მას ანდობს დომენეკი ჩემპიონატზე ადგილს ძირითად შემადგენლობაში ანრისთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ ფრანგებს სამ ამხანაგურ შეხვედრაში გოლი არ გაუშვიათ.

ბენზემას პირველ ტაიმში ორი, მეორეში კი ერთი საგოლე მომენტი ჰქონდა და მიუხედავად იმისა, რომ ვერ გამოიყენა, როცა შეცვალეს, ქომაგებმა ტაში გააყოლეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ვიპი და მოჩხუბარი ტიპი

**უეფას** პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ იტალიის ნაკრების კაპიტან ფაბიო კანავაროს საგანგებო VIP საბუთი მისცა, რომლითაც მადრიდის „რეალის" ვარსკვლავი ევრო 2008-ის ნებისმიერ თამაშს დაესწრება. მოგეხსენებათ, კანავარო „სკუადრა აძურას" ორი დღის წინანდელ ვარჯიშზე ისე დაშავდა, რომ შეჯიბრებას მხოლოდ ტრიბუნიდან თუ მიადევნებს თვალს. „კანავარო იტალიის ნაკრების ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურათაგანია — განაცხადა ევროპული ფეხბურთის უფროსმა — მისი დაშავება კი ძალიან ცუდი ამბავია, უპირველეს ყოვლისა, პირადად მისთვის".

როგორც იტალიური ტელეკომპანია RAI იტყობინება, თავად კანავაროს ჩემპიონატის განმავლობაში გუნდთან დარჩენა და თანაგუნდელების გამხნევება აქვს გადაწყვეტილი.

ამასობაში კი, „სკუადრა აძურაში" გაწევგამოწევა მოხდა და, როგორ ფიქრობთ, ვინ არის ამ საქმეში ჩათრეული? რასაკვირველია, ანტონიო კასანო, სამპდორიელი, რომელიც მწვრთნელმა რობერტო დონადონიმ მილანელ ვეტერანს ფილიპო ინძაგის ამჯობინა და 23-კაციან სიაში შეიყვანა.

კასანო გასულ სეზონში მართლაც საუცხოო ფორმაში იყო, მაგრამ კარგ ფორმაში ყოფნა ხასიათს რომ ვერ ცვლის, ესეც ხომ ფაქტია. ერთი სიტყვით, „რომას" ყოფილი ვარსკვლავი, რომელიც ერთიხანობა მადრიდის „რეალის" სათადარიგოთა სკამზე იჯდა, ამ სეზონში კი, როგორც მოგახსენეთ, „სამპდორიაში" ითამაშა, ჯორჯო კიელინის დაუპირისპირდა.

ჯორჯო კიელინი ის ფეხბურთელია, რომელსაც ზემოხსენებული ფაბიო კანავარო გამოედო და ამ ინციდენტის გამო თავს თურმე დამნაშავედ გრძნობს. და აი, საბრალო კიელინის ზედ მეორე უბედურება, კასანო დააცხდა.

ნუ იფიქრებთ, რომ ბარიში დაბადებულ-გაზრდილი თავდამსხმელის მრისხანება რამენაირად კანავაროსთან იყოს კავშირში. თურმე, კიელინის გინების და ხელების პარჭყვის შემდეგ, ორიოდ წუთში, კასანო „ვოლფსბურგის" ფეხბურთელს, ანდრეა ბარცალის დატაკებია. ერთი სიტყვით, სიტუაციის განსამუხტავად საქმეში თვით დონადონის მოუხდა ჩარევა, მითუფრო ვარჯიშის შემდეგ, გასახდელში, სადაც კასანომ გაწევა განაგრძო.

**პაპუნა ქედია**

## ტელეუეფა

**მიშელ პლატინიმ** ვენაში საერთაშორისო სატრანსლაციო ცენტრი გახსნა. ცერემონიალს ავსტრიის ფედერალური კანცლერი ალფრედ გუსენბაუერი დაესწრო. იქვე იყვნენ ვენის მერი მიხაელ ჰაუპლი და ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ფრიდრიხ შტიკლერი.

პლატინიმ IBC Master Control Room-ზე ევროპის ჩემპიონატის ყველა სარბიელიდან ჩართო გამოსახულება. მართალია, ეს ერთი შეხედვით ღილაკისთვის თითის სიმბოლური დაჭერა გახლდათ, მაგრამ მეორე მხრივ, ის, რაც მოხდა, მნიშვნელოვანია: ევროპული ფეხბურთის ისტორიაში პირველად, ტელესიგნალს კონტინენტის ჩემპიონატიდან უეფა თავად გადასცემს. ორგანიზაცია UEFA Media Technologies SA ასი პროცენტით უეფასი გახლავთ.

„უპირველეს ყოვლისა მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ავსტრიის ხელისუფალთ, რომელთაც თანამედროვე სამაუწყებლო ცენტრის აგებისთვის საუკეთესო პირობები შეგვიქმნეს — თქვა პლატინიმ — დღევანდელ დღეს ფეხბურთს და ტელევიზიას შორის ხომ პირდაპირი და მჭიდრო კავშირია. ტელემაუწყებლობა უეფას მარჯვენა ხელია, რადგან ამ სფეროს და მასში დასაქმებული ხალხის მეშვეობით მილიონობით მაყურებელი უამრავ ლამაზ თამაშს უყურებს. და ყოველივე ამის გამო, ჩვენ, უეფაში, გადავწყვიტეთ ისტორიაში პირველად მასპინძელი ტელეკომპანია თავად გავმხდარიყავით".

„ჩვენთან, ავსტრიაში — დასძინა ბატონმა გუსენბაუერმა — განსაკუთრებით კი ვენაში, ძალიან გვინდა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატმა რაც შეიძლება კარგად ჩაიაროს. ჩვენს შვეიცარიელ მეგობრებთანაც საუცხოო პარტნიორობა გვაკავშირებს. გვიხარია, რომ ამ შეჯიბრების გასაშუქებლად ჩვენს ქვეყანაში უამრავი ჟურნალისტი ჩამოვიდა და იმედი გვაქვს, რომ სიახლე, რომლის პრეზენტაციაზეც ახლა ვიმყოფებით, ამ შეჯიბრებიდან მთელ მსოფლიოს საუკეთესო გამოსახულების მიღების საშუალებას მისცემს".

**პაპუნა ქედია**



მიშელ პლატინი


AMERITECH-ის აქცია ევრო 2008 JVC-თან ერთად!

JVC The Perfect Experience




ამერიტექი AMERITECH

აქცია 1 ივნისიდან 1 ივლისამდე

შეიძინე ტექნიკა Ameritech–ის მაღაზიათა ქსელში, დააგროვე გოლები და გახდი უპრეცედენტო აქციის „ევრო 2008 JVC–თან ერთად" მონაწილე!

I ეტაპი — ყველა ვინც შეიძენს ტექნიკას Ameritech–ის მაღაზიათა ქსელში მიიღებს მომენტალურ საჩუქარს – ექსკლუზიურ მაისურს ევრო 2008–ის და JVC-ის სიმბოლიკით.

II ეტაპი — დააგროვე 1500 გოლი – ამოირჩიე და მიიღე მაღაზიაში შემოთავაზებული 10–ზე მეტი დასახელების საჩუქრიდან ერთ–ერთი.

III ეტაპი — დააგროვე 2500 გოლი – მიიღე 2 კაციანი აბონიმენტი ელიტარული სპორტ კაფეში ევრო 2008–ის ნახევარფინალური 2 მატჩისა და ფინალური მატჩის საყურებლად დიდ ეკრანზე.

აბონიმენტში შედის მენიუ. აბონიმენტი გაიცემა 1-დან 23 ივნისამდე!!!

1 ლარი = 1 გოლს

ამერიტექის მაღაზიათა ქსელი:
აღმაშენებლის ხეივანი 1/1, ტელ.: 51 73 88;
ვაჟა–ფშაველას გამზ. 39, ტელ.: 391095;
თამარ მეფის გამზ. 5, ტელ.: 943054;
სერვის ცენტრი: ინაშვილის 13/15, ტელ.: 31 32 52

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## C ჯგუფი. ჰოლანდია

# რისთვის მიდის ჰოლანდია ევროზე?

„ნარინჯისფერებმა" შესარჩევი ეტაპი არცთუ დამაჯერებლად ჩაატარეს და რუმინეთი, რომელსაც ისინი ჩამორჩნენ, კვლავ მათთან ერთად არის ჯგუფში. ორი დანარჩენი ნაკრები კი, მოგეხსენებათ, იტალია და საფრანგეთი არიან. ასე რომ, ჰოლანდიას გვარიანი ოფლისღვრა მოუწევს, რათა მერვედფინალში მოხვდეს.

საუბრები იმაზე, რომ ჰოლანდია მხოლოდ შემტევ და ლაღ ფეხბურთს თამაშობს, მუდამ თავდასხმაზე ორიენტირებული ტაქტიკით, აქტუალური აღარ არის. მარკო ვან ბასტენი აქცენტს თამაშის უფრო დაცვიდან წარმართვაზე აკეთებს.

„ნარინჯისფერთა" ტაქტიკა, როგორც წესი, 4-2-3-1 არის. ერთ გამოკვეთილ ცენტრფორვარდს ცოტა უკან მყოფი რაფაელ ვან დერ ვაარტი და ორი შემტევი ფლანგელი ეხმარება.

ვან ბასტენი, რომელიც ისეთივე კარგი მწვრთნელი ჯერ მაინც არ არის, როგორი ფეხბურთელიც იყო, პრინციპულობით გამოირჩევა. იმ ოთხი წლის განმავლობაში, რაც ნაკრებს თავკაცობს, მას ბევრი კრიტიკოსი გაუჩნდა და რამდენიმე ფეხბურთელთან კონფლიქტიც მოუვიდა. თუმცა ვან ბასტენი ჯიუტი და შეუვალია, იგი დათმობებზე არასდროს მიდის და ყურს არავის უგდებს, მაინც იმას აკეთებს, რაც სურს.

სხვათა შორის, ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაცია ვან ბასტენს კონტრაქტის გახანგრძლივებას სთავაზობდა, მაგრამ მან უარი განაცხადა და ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ამსტერდამის „აიაქსს" ჩაიბარებს.

ახლა ჰოლანდიელების მთავარი პრობლემა თავდასხმაში რომ აქვთ, არახალია. შესარჩევი ეტაპის 12 მატჩში მათ ოდენ 15 გოლი გაიტანეს (და მხოლოდ 5 გაუშვეს), რაც უდავოდ დაბალი მაჩვენებელია. ასე ცოტა გოლით ფინალურ ეტაპზე არცერთი ნაკრები არ არის გასული.

ჰოლანდიამ ავსტრია-შვეიცარიის საგზური გასული წლის 17 ნოემბერს გაინაღდა. განსაკუთრებული ზეიმი გამოვიდა, როტერდამის „დე კუიპზე" მრავალი გულშემატკივარი უყურებდა, თუ როგორი წვალებით მოუგო მათმა საყვარელმა ნაკრებმა პატარა ლუქსემბურგს 1:0. აქედან ოთხ დღეში ჰოლანდია ბელარუსთან დამარცხდა და ქომაგები უფრო მეტად გაბრაზდნენ, მაგრამ უკმაყოფილების ტალღა თანდათანობით განელდა და ახლა ფანების დიდი ნაწილი იმედიანად არის. ცხადია, პესიმისტებიც შემორჩნენ, რომლებიც კითხვას სვამენ — ევრო 2008-ზე კი ვითამაშებთ, მაგრამ რისთვის?

„ნარინჯისფერებს" ჰყავთ რუუდ ვან ნისტელროი, დირკ კუიტი, არიენ რობენი, რობინ ვან პერსი, უესლი სნეიდერი, რაფაელ ვან დერ ვაარტი, კლაას იან ჰუნტელაარი და სხვანი, მაგრამ ფაქტია, მათ გოლის გატანა უჭირთ.

ჰოლანდიელთა მთავარი იმედი ვან დერ ვაარტია. 25 წლის პლეიმეიკერი გერმანული „ჰამბურგის" ლიდერი და კაპიტანია. მას ისიც კარგად ახასიათებს, რომ „იუვენტუსის", „ინტერის", „ჩელსისა" და „რეალის" დარი კლუბების ინტერესს იწვევს.

„ნარინჯისფერთა" მხრიდან მთავარ მოულოდნელობად, შესაძლოა, ენსხედეს „ტვენტეს" გიგანტი ნახევარმცველი ორლანდო ენგელარი იქცეს, ვინც უკვე 27 წლისაა, მაგრამ ნაკრებში ახალი სახეა და საერთოდ, ბოლო დროს მოექცა საყოველთაო ყურადღების ცენტრში. მან ლომის წვლილი შეიტანა „ტვენტეს" წარმატებულ სეზონში. შეგახსენებთ, რომ ენსხედელებმა ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვეს — პლეი ოფში „აიაქსი" დაამარცხეს. სწორედ ამსტერდამელთა ერთ-ერთი სამიზნეა ენგელარი.

შესაძლოა, რაიან ბაბელი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად არც მოიაზრებოდა, მაგრამ მისი არყოფნა მაინც სერიოზული დანაკლისი იქნება. ინგლისური „ლივერპულის" გარემარბი რამდენიმე დღის წინ დაშავდა და ევრო 2008-ზე ვერ ითამაშებს. ვან ბასტენმა მის ნაცვლად ხალიდ ბულარუზი გამოიძახა.

არც კლარენს ზეედორფი იქნება, მაგრამ ამ შემთხვევაში მიზეზი სხვაა. „მილანის" ვარსკვლავმა ნაკრებში თამაშზე თავად თქვა უარი, ვან ბასტენთან ცუდი ურთიერთობის გამო. როცა ის წავა, ისევ სიამოვნებით მოვირგებ ნარინჯისფერ მაისურას, თუ ახალ მწვრთნელს ვენდომებიო.

ვან პერსიმ ტრავმა ახლახან მოიშუშა და შესაძლოა, ლონდონის „არსენალის" ფეხბურთელს იტალიასთან პირველი მატჩის გამოტოვება მოუხდეს.

**ძოძი ძანდელაძი**



მარკო ვან ბასტენი



ვან დერ ვაარტი (მარცხნივ) ჰოლანდიელთა მთავარი იმედია

## არის ასეთი ქვეყანა

თავისუფლება ისეთი ტკბილია, ყველა ცოცხალ ორგანიზმს, თუნდაც ბალახსაც კი უყვარს, მაგრამ ეს ჩვენი პლანეტა ხომ იმიტომაა ასე ჭრელი, რომ ხალხები სხვადასხვა ენაზე საუბრობენ და მათ ყოფიერებაში ცნებებს სულ სხვადასხვა შინაარსი და გაგება აქვს. ჰოლანდიაში ცნება „თავისუფლება" არ ასოცირდება სხვადასხვა ფერის დამპყრობ არმიებთან, თავხედი მეზობლის საკუთარი ქვეყნიდან გაგდებასთან, რადიოსთან, „ცენტრთან" და ჩვენ გონებაში სამუდამოდ ჩამჯდარ სხვა ნივთებთან. ჰოლანდიური თავისუფლება, სხვა უამრავ რამესთან ერთად, გულისხმობს პლანის მოსაწევ კაფეებს, თავისი გრძელი მენიუთი და ერთი სქესის ადამიანთა ლეგალურ ქორწინებას. სხვას ნურაფერს დაუშვებ და თავად თუნდ ყირაზე გადადი, ჩვენებურად რომ ვთქვათ, გიჟივით თავისუფალი იყავი, ოღონდ განსხვავებაც ისაა, რომ იქ ასეთ თავისუფლებს გიჟებად არავინ თვლის.

უკულტუროები? რას ბრძანებთ? განა ჰოლანდიელები არ იყვნენ ვან გოგი და რემბრანდტი? დედაქალაქის დაქსელილ არხებზე ხიდებიც ისეთი ლამაზი აქვთ, მთელს ევროპას თვალს სტაცებენ. შუა ქალაქში ერთი ისეთი თანამედროვე ძეგლი უდგათ, რომ ძველინდური სიყვარულის ტაძარი მათთან შედარებით ბავშვის ნაჩორკნად მოგეჩვენებათ. ესეც მისებური თავისუფლების სიმბოლოა. ვარდებიც ამიტომ არ უკიდიათ საძინებელ ოთახებში, რომ თავიანთი ცხოვრება დასამალი არ აქვთ.

კიდევ ჰოლანდიელები ის ხალხი არიან, რომლებმაც შუაზღვაში დიდი ლობე გაავლეს, ქარის წისქვილებით ამოდენა წყალი „ეზოდან" „გარეთ" გადატუმბეს და სტიქიას ათასობით კვადრატული კილომეტრი მიწა მოსტაცეს. თქვენი არ ვიცი და მე ეს მართლა დიდი საქმე მგონია.

**ირაძლი ფირაშვილი**

### მეკარეები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ედვინ ვან დერ სარი | მანჩესტერი, ინგლისი | 29.10.70 |
| 13 | ჰენკ ტიმერი | ფეიენოორდი | 03.12.71 |
| 16 | მაარტენ სტეკელენბურგი | აიაქსი | 22.09.82 |

### მცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | ანდრე ოიერი | ბლექბერნი, ინგლისი | 11.07.74 |
| 3 | ჯონი ჰეიტინგა | ატლეტიკო, ესპანეთი | 15.11.83 |
| 4 | იორის მატიისენი | ჰამბურგი, გერმანია | 05.04.80 |
| 5 | ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი | ფეიენოორდი | 05.02.75 |
| 12 | მარიო მელხიოტი | უიგანი, ინგლისი | 04.11.76 |
| 14 | უილფრედ ბოუმა | ასტონ ვილა, ინგლისი | 15.06.78 |
| 15 | ტიმ დე კლერი | ფეიენოორდი | 08.11.78 |
| 21 | ხალიდ ბულარუზი | სევილია, ესპანეთი | 28.12.81 |

### ნახევარმცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 | დემი დე ზეუვი | ალკმაარი | 26.05.83 |
| 8 | ორლანდო ენგელარი | ტვენტე | 24.08.79 |
| 10 | უესლი სნეიდერი | რეალი, ესპანეთი | 09.06.84 |
| 11 | არიენ რობენი | რეალი, ესპანეთი | 23.01.84 |
| 17 | ნაიჯელ დე იონგი | ჰამბურგი, გერმანია | 30.11.84 |
| 20 | იბრაჰიმ აფელაი | პსვ ეინდჰოვენი | 02.04.86 |
| 23 | რაფაელ ვან დერ ვაარტი | ჰამბურგი, გერმანია | 11.02.83 |

### თავდამსხმელები

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 | რობინ ვან პერსი | არსენალი, ინგლისი | 06.08.83 |
| 9 | რუუდ ვან ნისტელროი | რეალი, ესპანეთი | 01.07.76 |
| 18 | დირკ კუიტი | ლივერპული, ინგლისი | 22.07.80 |
| 19 | კლაას იან ჰუნტელაარი | აიაქსი | 12.08.83 |
| 22 | იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი | სელტიკი, შოტლანდია | 07.11.78 |

მწვრთნელი: მარკო ვან ბასტენი (43)

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

**euro_fan_2008@yahoo.com**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## C ჯგუფი. იტალია

# ვინ? სად? როდის? როგორ?

**დიდი** შანსი იყო, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონები ფინალურ ეტაპზე სულაც ვერ მოხვედრილიყვნენ, მაგრამ საბოლოოდ, „სკუადრა აძურამ“ წარმატებულად დაასრულა შესარჩევი ეტაპი და ახლა ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ ეგრეთ წოდებულ „სიკვდილის ჯგუფშია“.

რობერტო დონადონის კიდევ ერთი სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუწევს. მან კარგად იცის, რომ თუ ფეხი დაუცდა, ამას იტალიაში არ აპატიებენ. ახალგაზრდა სპეციალისტის შესაქებად უნდა ითქვას, რომ მარჩელო ლიპის ნაცვლად პოსტზე მოსულმა, შეძლო და, მიუხედავად სერიოზული ზეწოლისა და პრობლემებისა, ნაკრებს საკუთარი ხელწერა დაატყო. თუმცა განაჩენს მაინც აპენინელთა ავსტრია-შვეიცარიაში გამოსვლის მიხედვით გამოუტანენ.

დონადონი ორ სათამაშო სქემას იყენებს — 4-4-2-სა და 4-3-3-ს. პირველს — სერიოზულ მეტოქეებთან, მეორეს კი შედარებით სუსტებთან.

მის განკარგულებაში გასული ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი, ბაიერნელი ლუკა ტონი (24 გოლი) და სერია A-ს საუკეთესო გოლეადორი, იუვენტუსელი ალესანდრო დელ პიერო (21 გოლით) არიან. ამას ემატება ანტონიო დი ნატალე, რომლისადმიც დონადონის დიდი სიმპათიები აქვს და ვინც მყარად დაამკვიდრა ძირითად შემადგენლობაში. ასევე, ანტონიო კასანო, მარკო ბორიელო და ფაბიო კვალიარელა — ფეხბურთელები, რომლებმაც გასული სეზონი ჩინებულად ჩაატარეს. შესაბამისად, იტალიას ერთ-ერთი ყველაზე მრისხანე თავდასხმა ჰყავს, თუ ყველაზე მრისხანე არა. თავსატეხს, თუ ვინ, სად, როდის და როგორ ათამაშოს, დონადონი თავადვე უნდა გაუმკლავდეს.

6 ნომინალური თავდამსხმელის განაცხადში მოხვედრა, შესაძლოა, ცოტა უცნაური და მოულოდნელიც იყოს (დანარჩენი 15 ნაკრებიდან 5-ზე მეტი არცერთს გამოუძახებია), მაგრამ ტონის არწაყვნა გამორიცხული გახლდათ. დი ნატალესა და კვალიარელას დონადონი ძალიან სწყალობს და ისინიც კარგ ფორმაში არიან. ბორიელომ 19 გოლი გაიტანა. კასანომ და დელ პიერომ კი გასული სეზონი დიდებულად ჩაატარეს და პრესისა თუ ქომაგების არანორმალური ზეწოლის ფონზე, მწვრთნელს, რომც არ სდომოდა, ნაკრებში მათი დაბრუნება მოუწევდა.

განაწყენებულნი დონადონის მაინც დარჩნენ, უმთავრესად — ფილიპო ინძაგი და მასიმო ოდო. განაცხადში მოხვედრაზე კიდევ ბევრს ჰქონდა პრეტენზია — რიკარდო მონტოლივოს, ტომაზო როკის, ჯუზეპე როსის, კრისტიან ძაკარდოს...

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, დღეს „სკუადრა აძურას“ მთავარი პრობლემა დაცვაა. ძველი გვარდიიდან შემორჩენილი ჯანლუკა ძამბროტა საუკეთესო ფორმაში არ არის. ფაბიო გროსოს „ლიონში“ არცთუ კარგი სეზონი ჰქონდა. მარკო მატერაცისგან როდის რას უნდა ელოდო, არავინ იცის. ჯორჯო კიელინი სანაკრებო დონეზე გამოუცდელია. კრისტიან პანუჩი მატერაცის მსგავსად პატარა ბიჭი აღარ არის. ანდრეა ბარცალის კი, ფრანჩესკო ტოტის დარად, ნაკრებიდან მოულოდნელად წასული ალესანდრო ნესტას ღირსეულად შეცვლა ევალება. მან საბოლოოდ უნდა დაამტკიცოს, რომ არავისზე ნაკლები ცენტრალური მცველი არ არის.

განსაკუთრებულად აღსანიშნავია უმაღლესი კლასის მარჯვენა მცველის დეფიციტი, ეს პრობლემა იტალიის ნაკრებში ბოლო წლებში ძალიან აქტუალურია. ოდო კი, რომელმაც ამ პოზიციაზე 12 შესარჩევი მატჩიდან 9-ში ითამაშა, დონადონიმ არ გამოიძახა, რადგან მილანელმა ტრავმა ახლახან მოიშუშა და ფორმაში არ იქნებაო.

თითქოს, ეს ყველაფერი საკმარისი არ იყო, ორშაბათის ვარჯიშზე „სკუადრა აძურას“ კაპიტანი ფაბიო კანავარო იუვენტუსელ ჯორჯო კიელინისთან, ერთი შეხედვით, უწყინარი შეჯახებისას სერიოზულად დაშავდა და ევრო 2008-ზე ვერ ითამაშებს. მას, კარიერაში პირველად, ოპერაციის გაკეთებაც მოუხდა და დაახლოებით ორ თვეში დაუბრუნდება მინდორს. მადრიდის „რეალის“ მცველის ნაცვლად დონადონიმ ნაკრებში ფიორენტინელ ალესანდრო გამბერინის უხმო.

კიელინის ძალიან განუცდია, რომ თანაგუნდელი უნებურად ასე დააშავა და უტირია კიდეც. კანავარო, რომელიც ნაკრებთან ერთად მაინც რჩება, მას აქეთ ამშვიდებს.

„დონადონის ვთხოვე, გუნდთან ერთად დარჩენის უფლება მოეცა. ვფიქრობ, ეს სწორია იმ ორი წლის მერე, რაც ერთად ვიმუშავეთ. ცხადია, ძალიან გულდაწყვეტილი ვარ, ჩემს მესამე და ბოლო ევროპის ჩემპიონატს დიდი ენთუზიაზმით ველოდი, ახლა კი მთელი ყურადღების გადატანა 2010 წლის მუნდიალზე მომიწევს. თუმცა ეს ფეხბურთია, მსგავსი რაღაცეები ხდება ხოლმე და უნდა შევეგუოთ. რაც შეეხება კიელინის, იგი დავამშვიდე, ძალიან ანერვიულებული გახლდათ, მაგრამ ერთი ფეხბურთელის გამოკლებაც კმარა, ორის დაკარგვა არ არის საჭირო. ჯორჯომ ეს ინციდენტი უნდა დაივიწყოს“ — თქვა 35 წლის კანავარომ.

ბოლო წლებში იტალიელთა ძირითადი შემადგენლობის ერთ-ერთი უცვლელი ცენტრალური ნახევარმცველი ჯენარო გატუზო არცთუ კარგ ფორმაშია და, შესაძლოა, პრობლემა ამანაც შექმნას. თუმცა დონადონის ნახევარდაცვაში ფართო არჩევანი აქვს.

მთავარ სიურპრიზებს ანტონიო კასანოსგან ელიან. „ხულიგანი“, რომელმაც „სამპდორიას“ რიგებში ფორმა აღიდგინა, თითქმის ორწლიანი პაუზის მერე დაუბრუნდა ნაკრებს და იტალიელთა თამაშს ფანტაზია და სიმწვავე უნდა შემატოს. გასული სეზონი კასანომ მთლიანობაში ბრწყინვალედ ჩაატარა — 10 გოლი და 6 საგოლე გადაცემა მიითვალა.

საინტერესოა, რომ ტონიმ თავის თანაკლუბელ, გერმანიის ნაკრების ფორვარდ მიროსლავ კლოზესთან სანაძლეო დადო — აბა, ვნახოთ, ევრო 2008-ზე ვინ მეტ გოლს გაიტანსო. თუ რას მიიღებს გამარჯვებული, ჯერ უცნობია.

და ბოლოს, იტალიელთათვის „მაგიური“ ათნომრიანი მაისურა კვლავ რომაელ დანიელე დე როსის ეცმება. სხვათა შორის, გასულ სერია A-ში მან ყველაზე მეტი, 2364 პასი გააკეთა და აქედან 2051 ზუსტად...

**გიორგი ძაძამიძე**




ჯიჯი ბუფონი და რობერტო დონადონი

## არის ასეთი ქვეყანა

ენაწყლიანი მოსაუბრე და ბრძანებაგაუაზრებელი ჯარისკაცი, ფლორენციელი მხატვარი და ტურინელი მუშა, ცანცარა ჰომოსექსუალი და რკინისნერვება მაფიოზი... განა შეიძლება იტალიელებზე ფიქრისას ერთი გარკვეული ტიპაჟის წარმოდგენა? სხვებზე იქნებ შეიძლებოდეს. მაგალითად, მეგობრებთან საუბარში, ვთქვათ, ირლანდიელებს კუშტები უწოდო, ან ფინელებს მსმელები, მაგრამ იტალიელს ასეთ ჩარჩოში ვერ ჩასვამ. ამ ერს იმხელა ასაკი აქვს, რომ ერთგვარი ვერასგზით ვერ იქნება. ქვეყნის ისტორია ხომ ლამის ევროპის ისტორიასთან ერთად იწყება და ვითარდება. იტალია მთლიანი და უზარმაზარიც ყოფილა და ქალაქებად დათითოქვეყნებული. მაგრამ მთლიანობის დროსაც იტალიელები ხშირად ერთად არ იდგნენ და ხმლებით იწევდნენ ერთმანეთზე, ხოლო დაცალკევებისას ერთი იტალიური ქვეყნიდან მეორეში ისე გადი-გადმოდიოდნენ, როგორც საკუთარი სახლის ოთახებში.

თანამედროვე იტალიაც გარკვეულწილად იტალიურ ეზოს ჰგავს. საქმიანი ჩრდილოეთი დიდად განსხვავდება აგრიკოლური სამხრეთისგან და წლების წინ სერიოზულადაც დაძრა სიტყვა პოლიტიკურ განცალკევებაზე, თუმც ორ მოდავე ძმას ჩექმა მაინც მთელი შერჩათ. რაც უნდა იყოს, იტალია ხომ ევროკავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელია და იდეით ქვეყანათა შემაკავშირებელი, საქმით საკუთარ ქვეყანას ხომ არ გახლეჩდა?

იტალიელთა ცოცხალ და შემოქმედ გონებაში იშვა ბევრი ისეთი რამ, რისთვისაც მსოფლიო უნდა უმადლოდეს ამ ხალხს. რომში დაირწა დასავლური ცივილიზაციის აკვანი. იტალიელებმა აჩუქეს ევროპას ღვთაებრივი რენესანსი, თამამი კოლუმბი, მფრთხალი გალილეი...

**ირაკლი ფირცხვილი**

| | | | |
|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | |
| 1 | ჯანლუიჯი ბუფონი | იუვენტუსი | 28.01.78 |
| 14 | მარკო ამელია | ატლეტიკო, ესპანეთი | 02.04.82 |
| 17 | მორგან დე სანქტისი | სევილია, ესპანეთი | 26.03.75 |
| | **მცველები** | | |
| 2 | კრისტიან პანუჩი | რომა | 12.04.73 |
| 3 | ფაბიო გროსო | ლიონი, საფრანგეთი | 28.11.77 |
| 4 | ჯორჯო კიელინი | იუვენტუსი | 14.08.84 |
| 5 | ალესანდრო გამბერინი | ფიორენტინა | 27.08.81 |
| 6 | ანდრეა ბარცალი | ვოლფსბურგი, გერმანია | 08.05.81 |
| 19 | ჯანლუკა ძამბროტა | ბარსელონა, ესპანეთი | 19.02.77 |
| 23 | მარკო მატერაცი | ინტერი | 19.08.73 |
| | **ნახევარმცველები** | | |
| 8 | ჯენარო გატუზო | მილანი | 09.01.78 |
| 10 | დანიელე დე როსი | რომა | 24.07.83 |
| 13 | მასიმო ამბროზინი | მილანი | 29.05.77 |
| 16 | მაურო კამორანეზი | იუვენტუსი | 04.10.76 |
| 20 | სიმონე პეროტა | რომა | 17.09.77 |
| 21 | ანდრეა პირლო | მილანი | 19.05.79 |
| 22 | ალბერტო აკვილანი | რომა | 07.07.84 |
| | **თავდამსხმელები** | | |
| 7 | ალესანდრო დელ პიერო | იუვენტუსი | 09.11.74 |
| 9 | ლუკა ტონი | ბაიერნი, გერმანია | 26.05.77 |
| 11 | ანტონიო დი ნატალე | უდინეზე | 13.10.77 |
| 12 | მარკო ბორიელო | მილანი | 18.06.82 |
| 15 | ფაბიო კვალიარელა | უდინეზე | 31.01.83 |
| 19 | ანტონიო კასანო | სამპდორია | 12.07.82 |

მწვრთნელი: რობერტო დონადონი (44)

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

**euro_fan_2008@yahoo.com**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## C ჯგუფი. რუმინეთი

# პიცურკას აეროპორტში დაცვა გაახსენდა



ვიქტორ პიცურკა

**რუმინეთის** ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მეოთხედ ითამაშებს.

ეს გუნდი კონტინენტის მთავარ ტურნირზე პირველად 1984 წელს გავიდა და ჯგუფიდან ვერ გააღწია.

მეორედ 1996-ში იყო, მაგრამ სამარცხვინოდ დაასრულა — სამივე მატჩი წააგო. ევრო 2000-ზე მეოთხედფინალს უწია და იტალიასთან დამარცხდა, ახლა კი მეოთხე ცდაზეა და მიუხედავად იმისა, რომ ურთულეს ჯგუფშია გაჭყლეტილი, მწვრთნელი ვიქტორ პიცურკა იმედიანადაა.

ცოტა ხნის წინ ზინედინ ზიდანმა თქვა, რუმინეთი ჯგუფიდან ვერ გავაო. საპასუხოდ პიცურკამ განაცხადა, რომ ზიდანს თანამედროვე რუმინულ ფეხბურთზე მცდარი წარმოდგენა აქვს და მისი გუნდი ამას ევროპის ჩემპიონატზე დაამტკიცებს.

რუმინეთმა ევრო2008-ის საგზური შესარჩევის დასრულებამდე ორი ტურით ადრე გაინაღდა და ეს უკვე მეტყველებს ამ გუნდის ძალაზე. საკვალიფიკაციოში მათ მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგეს (ბულგარეთში).

შესარჩევ ეტაპზე უშუალო კონკურენტ ჰოლანდიას, ვისაც 17 ივნისს ბერნში ეთამაშება, შინ 1:0 მოუგო, სტუმრად კი უგოლოდ დაუზავდა.

წლეულს რუმინელებმა სამი ამხანაგური შეხვედრა გამართეს. თელ ავივში ისრაელთან წააგეს (0:1), ბუქარესტში კი ჯერ რუსეთი გაანადგურეს (3:0), მერე — ჩერნოგორია (4:0).

ჩერნოგორიასთან მოგების შემდეგ ვიქტორ პიცურკა დაცვის თამაშით უკმაყოფილო დარჩა. ორშაბათს, გუნდის შვეიცარიაში გამგზავრების წინ, მწვრთნელმა ბუქარესტის აეროპორტში თქვა:

„დიდი სხვაობით გამარჯვების მიუხედავად, უკმაყოფილო ვარ. ოთხივე მცველმა სუსტად ითამაშა. ამ მატჩში ის თერთმეტი კაცი გავიყვანე მოედანზე, რომლებსაც საფრანგეთთან შეხვედრისთვის მოვიაზრებდი, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ ცვლილებების გაკეთება მომიწევს. 4:0-მა არ უნდა დაგვაბრმაოს. ფრანგებთან ისე თუ ვითამაშებთ, როგორც ჩერნოგორიასთან პირველ ტაიმში, უეჭველად წავაგებთ".

ვიქტორ პიცურკა რუმინეთის ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია. „სტიაუაში" ჩემპიონთა თასი მოუგია (1986) და ამ გუნდის მაისურით 175 მატჩში 165 გოლი გაუტანია, რაც მეტად შთამბეჭდავი შედეგია.

მის სამწვრთნელო კარიერაში იყო „სტიაუა", „უნივერსიტატია" და ახალგაზრდული ნაკრები, ეროვნული გუნდი კი პირველად 1998 წელს ჩააბარეს. სწორედ მან გაიყვანა რუმინელები ევრო 2000-ზე ისე, რომ შესარჩევში ერთხელაც არ დამარცხებულან, მაგრამ ჩემპიონატის დაწყებამდე მოხსნეს გუნდის ვეტერანებთან კონფლიქტის შედეგად.

2004 წლის დეკემბერში ვიქტორ პიცურკა ხელახლა დანიშნეს ნაკრების მწვრთნელად. მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერა, მაგრამ ევრო 2008-ზე გუნდი კი გაიყვანა.

როგორც ყოფილი ფორვარდი, პიცურკა შემტევი ფეხბურთის მომხრეა, მაგრამ იმავდროულად, დისციპლინეს მომთხოვნი. მისი ნაკრები 4-4-2-ით თამაშობს. მწვრთნელმა შესარჩევ ციკლში 39 ფეხბურთელი გამოსცადა და თქვა, რომ ნაკრების თამაში ამა თუ იმ ერთ კაცზე არ ეწყობა.

ერთადერთი გამონაკლისი, შესაძლოა, მეკარე ბოგდან ლობონტი იყოს, რომელიც ხელშეუხებელია, დაცვის ხაზი კი არაერთხელ გადაუწყვია და გაბრიელ ტამაშს და დორინ გოიანს სხვებზე უფრო ხშირად ენდობოდა. ფლანგებზე კოზმინ კონტრა და რაზვან რაცი არიან, უნივერსალ კრისტიან კივუს კი მცველობაც შეუძლია და ნახევარმცველობაც.

„კარგა ხანია, არ ვყოფილვართ დიდ ტურნირზე და ერთი სული გვაქვს, როდის ვითამაშებთ პირველ მატჩს — თქვა კრისტიან კივუმ — გუნდში ბევრი ახალგაზრდაა, რომლებმაც შესარჩევში თავი გამოიჩინეს და სახელოვანი მეტოქეების არ ეშინიათ".

რაღა თქმა უნდა, რუმინელთა მთავარი კაცი „ფიორენტინას" ფორვარდი ადრიან მუტუა, ვინაც გასული სეზონის ყველა ტურნირში 23 გოლი შეაგდო.

და ბოლოს, რუმინეთის ნაკრებს მხოლოდ ერთხელ წაუგია ისეთი მატჩი, რომელშიც მუტუს გაუტანია.

**ვაჟა ხუციშვილი**



ადრიან მუტუ

## არის ასეთი ქვეყანა

რუმინეთი შარშან ევროკავშირმა თავის დიდ ოჯახში მიიღო და მართლა რიგიან ქვეყნად ქცევის შანსი უბოძა. კავშირის 27 ქვეყანაში ის ტერიტორიით მეცხრეა, ხოლო მოსახლეობით მეშვიდე და ამგვარად განვითარებისთვის პირველადი რესურსიც მოეძევება, მაგრამ, რუმინელი მეგობრები ნუ გვიწყენენ და, ეს ქვეყანა ჯერჯერობით ერთ-ერთი ყველაზე განუვითარებელია ნამდვილ ევროპაში. შესაძლოა, მას აფერხებენ ბოშები, რომლებიც მასიურად ცხოვრობენ სერბეთის და უნგრეთის სასაზღვრო რეგიონებში, მაგრამ ასეა თუ ისე, რუმინეთს ეკონომიკა ვერ უყვავის. ვითომ იმის გამო, რომ იტალია, გერმანია, ან. რომელიმე მძლავრი ქვეყანა არ ემეზობლება? შესაძლოა, ამიტომაც. ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც კულტურულ ბიზანტიელთა მაგივრად მათ საზღვრებთან თურქი დამპყრობლები გამოჩნდნენ, რუმინეთი ცოტა ჩამორჩა მწყობრი ნაბიჯით მავალ დასავლეთ ევროპას.

რუმინეთი ქვეყანად მე-13 საუკუნეში ჩამოყალიბდა და მაშინ ვლახეთად მოიხსენიებოდა. ახლანდელი სახელი კი ძველი რომიდან მოდის და რუმინული ენაც რომანულ ენათა ჯგუფში შედის. ეგაა, სლავთა მეზობლობის გამო, მეტყველებაშიც და იერ-ხასიათშიც არცთუ უმნიშვნელოა სლავური შტრიხები. შუა საუკუნეებშიც და მერეც, რუმინეთი თითქმის არასდროს ყოფილა მთლიანი და ძლიერი სახელმწიფო. ხშირად დაყოფილი იყო სამეფო-სამთავროებად, მოლდოვეთად, ბესარაბიად, ბუკოვინად, ტრანსილვანიად... ტრანსილვანიელი იყო პირველი „ვამპირი" გრაფი დრაკულა, რომელიც სინამდვილეში სულაც არ გახლდათ ვამპირი. ქვეყნის მმართველი იყო, თურქ დამპყრობლებს ებრძოდა და სისხლისმსმელის სახელი აჯანყებათა სასტიკად ჩახშობის გამო დაუმკვიდრა ისტორიამ და კინემატოგრაფიამ.

**ირაკლი ფირაშვილი**

| | | | |
|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | |
| 1 | ბოგდან ლობონტი | დინამო | 18.01.78 |
| 12 | მარიუს პოპა | პოლიტეხნიკა | 31.07.78 |
| 23 | ედუარდ სტანჩუ | კლუჟი | 03.03.81 |
| | **მცველები** | | |
| 2 | კოზმინ კონტრა | ხეტაფე, ესპანეთი | 15.12.75 |
| 3 | რაზვან რაცი | შახტარი, უკრაინა | 26.05.81 |
| 4 | გაბრიელ ტამაში | ოსერი, საფრანგეთი | 09.11.83 |
| 5 | კრისტიან კივუ | ინტერი, იტალია | 26.10.80 |
| 13 | კრისტიან საპუნარუ | რაპიდი | 05.04.84 |
| 14 | სორინ გიონია | სტიაუა | 11.05.79 |
| 15 | დორინ გოიანი | სტიაუა | 12.12.80 |
| 17 | კოზმინ მოცი | დინამო | 03.12.84 |
| 22 | სტეფან რადუ | ლაციო, იტალია | 22.10.86 |
| | **ნახევარმცველები** | | |
| 6 | მირელ რადოი | სტიაუა | 22.03.81 |
| 7 | ფლორენტინ პეტრე | ცსკა, ბულგარეთი | 15.01.76 |
| 8 | პაულ კოდრია | სიენა, იტალია | 04.04.81 |
| 11 | რაზვან კოჩიში | ლოკომოტივი, რუსეთი | 19.02.83 |
| 16 | ბანელ ნიკოლიტა | სტიაუა | 07.01.85 |
| 19 | ადრიან კრისტია | დინამო | 30.11.83 |
| 20 | ნიკოლაე დიკა | სტიაუა | 09.05.80 |
| | **თავდამსხმელები** | | |
| 9 | ჩიპრიან მარიკა | შტუტგარტი, გერმანია | 02.10.85 |
| 10 | ადრიან მუტუ | ფიორენტინა, იტალია | 08.01.79 |
| 18 | მარიუს ნიკულაე | ინვერნესი, შოტლანდია | 16.05.81 |
| 21 | დანიელ ნიკულაე | ოსერი, საფრანგეთი | 06.10.82 |

მწვრთნელი: ვიქტორ პიცურკა (52)

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

**euro_fan_2008@yahoo.com**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## C ჯგუფი. საფრანგეთი

# დაცვასაც მიხედეთ, მუსიე დომენეკ!

**ოჰ, ეს** ყბადაღებული „სიკვდილის ჯგუფი“ და უკვე მერამდენედ საფრანგეთი — იტალია, ამათ დაუმატეთ არანაკლებ ძლიერი ჰოლანდია და საკმაოდ ბრძოლისუნარიანი რუმინეთი...

ვფიქრობთ, კომენტარი მართლაც ზედმეტია, მაგრამ დღეს ჩვენი წერილის მიზანი არა ჯგუფის შეფასება, არამედ ერთ-ერთის, საფრანგეთის ნაკრების წარმოდგენა გახლავთ და შევეცდებით, „ლურჯების“ პლუს-მინუსებზე ამომწურავად თუ ვერა, შეძლებისდაგვარად მაინც გესაუბროთ.

მაშ ასე: საფრანგეთის ეროვნული ნაკრები, მსოფლიოს 1998 წლისა და ევროპის ორგზის (1984, 2000) ჩემპიონი, საფრანგეთი, წარსულის უამრავი ვარსკვლავით (ჟიუსტ ფონტენი, რაიმონ კოპა, მიშელ პლატინი, ჟან ტიგანა, მანუელ ამორო, ლუის ფერნანდესი, ალენ ჟირესი, ჟოელ ბატსი, ერიკ კანტონა, ჟან-პიერ პაპენი, ლორან ბლანი, მარსელ დესაი, დიდიე დეშანი, იური ჯორკაეფი, ზინედინ ზიდანი) და საფრანგეთი, თანამედროვე ვარსკვლავთკრებულით (ლილიან ტურამი, პატრიკ ვიეირა, კლოდ მაკელელე, ფრანკ რიბერი, ტიერი ანრი).

თანამედროვეთაგან ვინც ჩამოვთვალეთ, ესენი ყველანი მიდიან ევროპის ჩემპიონატზე და შინ დარჩენილთაგან დავიდ ტრეზეგე რომ არ ვახსენოთ, არ იქნება — ტრეზეგე, რომელიც მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა, როგორც ჩანს, საბოლოოდ მოიძულა (ორი წლის წინ გერმანულ მუნდიალზე კი ჰყავდა, მაგრამ...), შეკრების დასაწყისში ნაკრების 30-კაციან გაფართოებულ სიაშიც არ შეიყვანა.

სწორედ ჯიუტი ხასიათის და ბევრი სხვა თვისების გამო, ფრანგ გულშემატკივარს კარგა ხანია, ათვალწუნებული ჰყავს დომენეკი, მაგრამ არამც და არამც ფეხბურთის სპეციალისტებს, ისინი 56 წლის დომენეკის სამწვრთნელო ფილოსოფიას ძალიანაც აფასებენ, რომლის ერთ-ერთ არგუმენტად ამ ზევარსკვლავების ნამდვილი მწყემსობა მიაჩნიათ. მართლაც ძნელია, როცა გუნდში თითქმის ყველა ფეხბურთელი მილიონერი ვარსკვლავი გყავს, უხეშად რომ ვთქვათ, ყველა ერთ თარგზე მოჭრა და შენ ჭკუაზე ატარო. დომენეკს კი ეს შეუძლია.

ჰყავს თუ არა თანამედროვე საფრანგეთის ნაკრებს ლიდერი, რომელიც საკუთარ თავზე აიღებს პასუხისმგებლობას, გამოავლენს საჭირო თვისებას და თამაშის მოგებას, ასე ვთქვათ, მარტო შეძლებს? როგორც ამბობენ, ასეთი ფეხბურთელი „ლურჯებს“ დღეს არ ჰყავთ, არ ჰყავთ ვინმე ისეთი, რომელიც აიყოლიებს თანაგუნდელებს. ვერც მწვრთნელი დომენეკია ისეთი, ბიჭებს მაგრად რომ დაგეშავსო. მაშ, ვინ? ვინ კი არა, რა — ერთიანობა, გუნდური სულისკვეთება, გამარჯვებულის ფსიქოლოგია — აი, ესაა საფრანგეთის ნაკრების უმთავრესი იარაღი, რომლითაც ნებისმიერი მეტოქის გადაჯეგვა შეუძლიათ „ლურჯებს“, როცა ნაკრები მინდორზე მწყობრად გადის, მეტოქეს მაშინ ატერორებენო, უთქვამს ადრე ლეგენდარულ ფრანგ მწვრთნელს, 1998 წელს ნანატრი მსოფლიოს ჩემპიონობის მომპოვებელ ემე ჟაკეს.

სათამაშო სქემა — ნუ გაიკვირვებთ და დომენეკის ტაქტიკას ყველა საიდუმლოებით მოცულს ეძახის. არა, დომენეკი კიო არ არის, რამე ახალი მოეგონებინოს, უბრალოდ, საიდუმლოში ის იგულისხმება, რომ არავინ იცის, თუ რა ტაქტიკით აპირებს გუნდის მინდორზე განლაგებას ამა თუ იმ მატჩის წინ, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ერთი ამორჩეული სქემა არ გააჩნია. 4-4-2, 4-2-3-1, 4-3-1-2, 4-3-3, 4-3-2-1, 4-1-2-1-2, 4-2-2-2... მოკლედ, სათვალავი თქვენ კი არა, ჩვენ აგვერია და მოდი, და გაიგე, ჩამოთვლილთაგან რომელი მოსწონს მწვრთნელს და რომელი არა. ერთი კია, რაიმონ დომენეკი არასდროს თამაშობს სამი მცველით და, როგორც ფრანგი კოლეგები წერენ, უმთავრესი მაინც 4-4-2-ა, რომელიც მთელი თამაშის განმავლობაში უამრავჯერ იცვლება.

კუპე — სანიოლი, ტურამი, გალასი, აბიდალი — რიბერი, მაკელელე, ვიეირა, მალუდა — ანრი, ბენზემა. ასეთია, „ლურჯების“ სავარაუდო შემადგენლობა, ოღონდ ტრავმირებული ვიეირას ნაცვლად საწყის (და ალბათ მეორესაც) მატჩს ჟერემი ტულალანი ითამაშებს და ვფიქრობთ, დომენეკს ამათზე უკეთესი არჩევანი არც ექნება, მაგრამ...

მაგრამ, ველოდოთ თუ არა სიურპრიზებს დომენეკისგან? რა თქმა უნდა. და, რატომ ასე გადაჭრით? განა, ძნელი მისახვედრია, როცა ნაკრებში სრულიად უცნობ ფეხბურთელს იხმობ და თანაც, მხოლოდ გამოძახება ხომ არ არის, მიგყავს ევროპის ჩემპიონატზე? ასე დაემართა 21 წლის სენტეტიენელ ბაფეტიმბი გომისს. რას იფიქრებდა ეს შავკანიანი ჯეელი, გასულ სეზონში საფრანგეთის ჩემპიონატში 16 გოლის გატანა ასე თუ დაუფასდებოდა, მაგრამ მთავარი მერე მოხდა, დომენეკს ჯერ საბოლოო განაცხადი არ ჰქონდა შედგენილი, როცა გომისმა თავის სადებიუტო ამხანაგურ მატჩში დუბლი გაახერხა. ჰოდა, აგერ შედეგიც.

სამაგიეროდ, ევროპის ჩემპიონატი ოცნებად დაურჩათ მიკაელ ლანდროს, ჟულიენ ესკუდეს, ფილიპ მექსესს, ალიუ დიარას, მატიე ფლამინის, ჰათემ ბენ არფას და ჯიბრილ სისეს, დავიდ ტრეზეგეზე რომ არაფერი ვთქვათ.

„მინდორზე 11 ფეხბურთელი გადის, თერთმეტივემ იცის ბურთის ფლობა და თერთმეტივემ უნდა აღიქვას, რომ ის თავდამსხმელია. მე შეტევა მიყვარს, შეტევა, შეტევა და კიდევ შეტევა. აი, ესაა ჩემი კრედო, ჩემი გუნდი ყოველთვის შემტევი უნდა იყოს“ — რაიმონ დომენეკის ამ ფრაზაზე ბევრს, შესაძლოა, ლეგენდარული ქართული ფილმი „ფეოლა“ გაახსენდეს, ოღონდ ჩვენებურ ინტერპრეტაციას გავუკეთებთ: დაცვასაც მიხედეთ, მუსიე დომენეკ, დაცვასაც!

**გიორგი გაგაძიძე**



ლილიან ტურამი და რაიმონ დომენეკი

## არის ასეთი ქვეყანა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფრანგი კოლონიზატორები აფრიკას რომ სტოვებდნენ, ცდილობდნენ, ყველაფერი მოეწესრიგებინათ და დაპყრობილი ხალხებისთვის რაც შეიძლება ნაკლები ცუდის თქმის საბაბი დაეტოვებინათ. მათ საკუთარი სურვილით არ დაუხევიათ, გარემოებებმა აიძულეს, მაგრამ მათ ადგილზე ყველა იმპერიალისტი როდი მოკიდებდა ხელს ცოცხს და უცხო ქვეყანაში ბოლო დღეებს დაგვა-დასუფთავებაში როდი გაატარებდა.

საფრანგეთმა რაც თავი დიდ და ერთიან ქვეყნად შეიცნო, მას მერე მტაცებლის თვალით გამოიხედა. ფრანკთა იმპერიის დამაარსებელი შარლ დიდის შემდეგ ასეთად მოიაზრებოდა, თუმც აგრესიასთან ერთად ფრანგებს კოლონიებში კულტურა და ცივილიზაციაც შეჰქონდათ და ეს, ყოველ შემთხვევაში, თავის სამართლებელ საბუთად ხომ მაინც გამოადგათ. ცივილიზაციის განვითარებაში მათი წვლილი კი მართლაცდა არსებითია და თუ რა შესძინეს მათ კაცობრიობას, ამაზე საუბარი აფრიკაზე უფრო შორს წაგვიყვანს.

დღეს საფრანგეთი კოლონიზაციის უკუშედეგს იმკის. ოდესღაც მისი აფრიკული სამფლოელოებიდან უწყვეთ ნაკადად მიედინებიან ფრანგულენოვანი აფრიკელები და მეტროპოლიას ისე უცვლიან სახეს, რომ პარიზი აღარასდროს იქნება პიკასო-მოდილიანის დროინდელი პარიზის მსგავსი, მიუხედავად იმისა, რომ ოდესღაც თავად ფრანგთა საძულველი ეიფელის კოშკი კიდევ დიდხანს დაამშვენებს მსოფლიოს ერთ-ერთ დედაქალაქს. ასე უხდის ხარკს მსოფლიოს ერთ-ერთი მძლავრი ქვეყანა საკუთარ წარსულს. სამაგიეროდ, შედარებით მშვიდადაცაა, ყოველ შემთხვევაში, ისლამური სამყაროს შეფარული სიძულვილი და ტერორისტთა ბომბები ხომ აირიდა.

**ირაკლი ფირცხვილი**

| | | | |
|---|---|---|---|
| **მეკარეები** | | | |
| 1 | სტივ მანდანდა | მარსელი | 28.03.85 |
| 16 | სებასტიან ფრეი | ფიორენტინა, იტალია | 18.03.80 |
| 23 | გრეგორი კუპე | ლიონი | 31.12.72 |
| **მცველები** | | | |
| 2 | ჟან-ალენ ბუმსონგი | ლიონი | 14.12.79 |
| 3 | ერიკ აბიდალი | ბარსელონა, ესპანეთი | 11.07.79 |
| 5 | უილიამ გალასი | არსენალი, ინგლისი | 17.08.77 |
| 13 | პატრის ევრა | მანჩესტერი, ინგლისი | 15.05.81 |
| 14 | ფრანსუა კლერკი | ლიონი | 18.04.83 |
| 15 | ლილიან ტურამი | ბარსელონა, ესპანეთი | 01.01.72 |
| 17 | სებასტიან სკილაჩი | ლიონი | 11.08.80 |
| 19 | ვილი სანიოლი | ბაიერნი, გერმანია | 18.03.77 |
| **ნახევარმცველები** | | | |
| 4 | პატრიკ ვიეირა | ინტერი, იტალია | 23.06.76 |
| 6 | კლოდ მაკელელე | ჩელსი, ინგლისი | 18.02.73 |
| 7 | ფლორან მალუდა | ჩელსი, ინგლისი | 13.06.80 |
| 11 | სამირ ნასრი | არსენალი, ინგლისი | 20.06.87 |
| 20 | ჟერემი ტულალანი | ლიონი | 10.09.83 |
| 21 | ლასანა დიარა | პორტსმუთი, ინგლისი | 10.03.85 |
| 22 | ფრანკ რიბერი | ბაიერნი, გერმანია | 01.04.83 |
| **თავდამსხმელები** | | | |
| 8 | ნიკოლა ანელკა | ჩელსი, ინგლისი | 14.03.79 |
| 9 | ქარიმ ბენზემა | ლიონი | 19.12.87 |
| 10 | სიდნეი გოვუ | ლიონი | 24.07.79 |
| 12 | ტიერი ანრი | ბარსელონა, ესპანეთი | 17.08.77 |
| 18 | ბაფეტიმბი გომისი | სენტ ეტიენი | 06.08.85 |

მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი (56)

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

**euro_fan_2008@yahoo.com**

# ევრო 2008

## ჯენარო გატუზო: ვინ იცის, დონადონის მხარზე ვუტყაპუნო



**ჯენარო გატუზო — კაცი, რომლის გარეშე „მილანი“ და იტალიის ნაკრები წარმოუდგენელია. იტალიური პრესის ვარაუდით, ფაბიო კანავაროს არყოფნისას, ევრო-2008-ზე გატუზოს როლი გაიზრდება: მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ამპლუის ფეხბურთელები არიან, ორივე სულით ლიდერია. იტალიისთვის ევრო-2008 9 ივნისს იხსნება ჰოლანდიასთან ჯახში. დაუღალავ საყრდენ ნახევარმცველს მოახლოებულ დიდ ტურნირზე ესაუბრნენ...**

**— როგორ ფიქრობთ, იტალია ევრო 2008-ის მთავარ ფავორიტად უნდა ჩაითვალოს?**

— რა თქმა უნდა. ჩვენ ხომ მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონები ვართ, თანაც, შესარჩევში საფრანგეთი, შოტლანდია და უკრაინა ჩამოვიტოვეთ. ისე, ევროპაზე ძალიან ძლიერ ჯგუფში მოვხვდით, ჩვენი სამივე მეტოქე მეოთხედფინალში გასვლისთვის ბოლომდე იბრძოლებს. რაც შეეხება დანარჩენ ნაკრებებს, გერმანია უნდა აღვნიშნო, რომელიც იშვიათად აგებს დიდ ტურნირებზე. ასევე, ესპანეთი, პორტუგალია და საბერძნეთი.

**— რა შეიცვალა იტალიის ნაკრებში 2006 წლის მუნდიალის შემდეგ?**

— რობერტო დონადონის წინაშე რთული ამოცანა იდგა — მარჩელო ლიპიზე ცუდად არ უნდა ემუშავა. დონადონიმ შეძლო ტაქტიკური სქემის გამრავალფეროვნება, ამასთან, შანსი მისცა ახალ ფეხბურთელებს — ალბერტო აკვილანის, ანტონიო დი ნატალეს, ფაბიო კვალიარელას. როგორც ყოველთვის, იტალიას მოგება სწყურია, თუმც ისიცაა, რომ ევროპის ჩემპიონატი მუნდიალზე ძნელია.

**— რატომ?**

— ევროპაზე არ არიან სუსტი მეტოქეები, ყველა გუნდი მაღალ დონეზე თამაშობს და ყველა მატჩი ფინალივითაა. კიდევ ერთი მომენტი: მატჩებს შორის მოკლე პერიოდებია, ტურნირი დიდხანს არ გრძელდება, მაგრამ ინტენსიურობა იზრდება. ამიტომაც, ევროპის ჩემპიონატზე გაცილებით მნიშვნელოვანია გუნდურობა, რომელიც ფსიქოლოგიურ წნეხს შედარებით იოლად გადაგატანინებს. ხუმრობა ხომ არაა 23 დღეში 6 მატჩის ჩატარება...

**— ევრო 2004 იტალიისთვის მწარე გამოცდილება იყო...**

— ძალიან. ჩვენს გარდა, ესპანეთი და გერმანიაც ჯგუფში ჩარჩნენ. ამას გარკვეული გამართლებაც მოეძებნება — უმძიმესი სეზონი გვქონდა კლუბებში და გამოფიტულები ვიყავით. ამიტომაც ვამბობ, ევროპაზე თექვსმეტიოდე ნაკრებს შეუძლია ჩემპიონატზე ფიქრი.

**— გატუზოს აზრით, ვინ გახდება ევრო 2008-ის საუკეთესო ფეხბურთელი?**

— იტალიიდან ჯანლუიჯი ბუფონს, ანდრეა პირლოს და ლუკა ტონის გამოვყოფ. ბევრია მოსალოდნელი კრიშტიანუ რონალდუსგან, ფერნანდო ტორესისგან, ზლატან იბრაჰიმოვიჩისგან — ისინი ძალიან ტექნიკურები და ფიზიკურად ძლიერები არიან. გამოცდილებაც ბევრს ნიშნავს. თუნდაც ტიერი ანრისა და მიხაელ ბალაკს შეუძლიათ, თავიანთი ნაკრები ჩემპიონობამდე მიიყვანონ.

**— თქვენც შეგიძლიათ ნაკრების გაძღოლა...**

— ვარსკვლავად მთვლით? ვერ დაგეთანხმებით. მე გუნდური ფეხბურთელი ვარ, არ მაქვს ისეთი სათამაშო აზროვნება და ვარსკვლავური დაავადება, როგორიც პირლოს. თუმც მე შემიძლია, ნაკრებს ის ყველაფერი ბოლომდე გავცე, რასაც ვფლობ. მე „ვქოქავ“ გუნდს და ვიძლევი მაგალითს.

**— ბოლო მუნდიალის შემდეგ, ბრიტანელებმა გამოკითხვაში დევიდ ბექემზე სექსუალურ მამაკაცად დაგასახელეს...**

— ალბათ, მაქვს რაღაც შარმი. არ ვედრები ბექემს და ვცდილობ, დავრჩე იმად, რაც ვარ.

**— თქვენს საგოლე სიტუაციაზეც ვთქვათ: სხვა ფეხბურთელები ბურთის გატანის დროს თანაგუნდელებს ეხვევიან, თქვენ კი თავს უფლებას აძლევთ, გოლი მარჩელო ლიპის ან კარლო ანჩელოტის მხარზე ხელის დატყაპუნებებით აღნიშნოთ...**

— ორივე ამ მწვრთნელთან ბრწყინვალე ურთიერთობა მაქვს. არ ვიცი, რატომ შევასრულე ასეთი რიტუალი. ალბათ, რეფლექსურად... ისე გამოვიდა, რომ ჩემი მანერა დასამახსოვრებელი გახდა. ვინ იცის, ევრო2008-ის შემდეგ დონადონიმაც იგრძნოს თავის მხარზე ჩემი ხელი.



# სიტიში ადგილი არ გააციეს

## ჰიუზი მანჩესტერში მივიდა

**სვენ-გორან ერიქსონის** მექსიკის ნაკრებში წასვლამ, „მანჩესტერ სიტიში“ მწვრთნელის ადგილი გამოათავისუფლა. პოსტი ვაკანტურად დიდხანს არ დარჩენილა, გუნდი გუშინ მარკ ჰიუზმა ჩაიბარა, ვინც ამ დანიშვნამდე „ბლექბერნ როვერსი“ დატოვა.

„სიტის“ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ 44 წლის ჰიუზი კლუბის ახალ აღმასრულებელ დირექტორ გარი კუკს შეხვდა, ისაუბრეს და 3-წლიანი კონტრაქტიც გააფორმეს.

„მარკი ჩვენს გუნდში სიხარულით მივიღეთ — თქვა კუკმა — ის ჩვენი მთავარი სამიზნე იყო და კმაყოფილები ვართ, მოლაპარაკებამ წარმატებით რომ ჩაიარა. ის უკვე შეუდგა მუშაობას და იმ ფეხბურთელთა სიაც აქვს, რომელთა „სიტიში“ გადმოყვანაც სურს“.

მარკ ჰიუზი ფეხბურთელობისას „მანჩესტერ იუნაიტედში“, „ბარსელონასა“ და „ჩელსიში“ თამაშობდა, უელსის ნაკრებში კი 72 მატჩი აქვს ჩატარებული. მოგვიანებით უელსის ნაკრების მწვრთნელიც იყო. სამწვრთნელო სარბიელზე მისი ყველაზე წარმატებული პერიოდი კი ბლექბერნული გახლდათ. პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლი გუნდი მან ევროთასებზე გასასვლელად მებრძოლად გადააქცია.

**ჭოტე ჭეჭელია**

# მექსიკა ერიქსონს მიანდეს



**სვენ-გორან ერიქსონი**, რომელიც ბოლო წლებში ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელად მუშაობდა, მექსიკის თავკაცი გახდა.

ამ პოსტის ჩაბარების მთავარ კანდიდატებად მადრიდის „ატლეტიკოს“ დამრიგებელი ხავიერ აგირე და ლუიშ ფელიპე სკოლარი ითვლებოდნენ, რომელიც ევრო 2008-ის მერე პორტუგალიის ნაკრებიდან მიდის. თუმცა, როგორც გაირკვა, მექსიკის უმაღლესი ლიგის 18 გუნდის პრეზიდენტიდან 60 წლის შვედი სპეციალისტის ნაკრების მწვრთნელად დანიშვნის წინააღმდეგ არცერთი არ წასულა.

„ძალიან მეამაყება, რომ მექსიკის ნაკრების მწვრთნელი გავხდი. შემოთავაზებას სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან ეს ჩემთვის დიდი გამოწვევაა. ჩვენი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლა და იქ წარმატებულად თამაშია. რასაკვირველია, მექსიკურ ფეხბურთს ახლოს არ ვიცნობ, მაგრამ მალე ასე აღარ იქნება. ცხადია, ყველაფერში გავერკვევი. სერიოზული მუშაობა მომიწევს და ამისთვის მზად ვარ“ — განაცხადა ერიქსონმა.

„ეს გადაწყვეტილება ერთხმად მივიღეთ. ერიქსონის წინააღმდეგ არავინ წასულა და იმედი გვაქვს, იგი კარგად იმუშავებს“ — თქვა „გვადალახარას“ პრეზიდენტმა ხორხე ვერგარამ.

მექსიკის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი უგო სანჩესი პოსტიდან მარტში დაითხოვეს. მას მერე მექსიკელებს დროებით ხესუს რამირესი თავკაცობდა. იგი გაიყვანს ნაკრებს არგენტინასთან და პერუსთან ამხანაგურ მატჩებში, ასევე ბელიზთან მსოფლიოს ჩემპიონატის ორრაუნდიან შესარჩევ შეხვედრაში, მერე კი ერიქსონი შეუდგება მუშაობას.

**გიორგი ქაქაბაძე**

# რომას გეგმები




**იტალიური** „რომა“ მომავალი სეზონისთვის გაძლიერებას გეგმავს, მაგრამ იქამდე დედაქალაქელები თავიანთი ლიდერების შენარჩუნებით არიან დაკავებულნი. ახლახან გუნდთან კონტრაქტი ალეშანდერ დონიმ გაახანგრძლივა. მალე ბრაზილიელი მეკარის კვალს ალბათ დანიელე დე როსი და ალბერტო აკვლიანიც მიჰყვებიან.

„დე როსისთან არანაირი პრობლემა არ გვექნება, ყველამ იცის, როგორი ფეხბურთელია და დანიელეს არაერთხელ დაუმტკიცებია სიტყვითაც და საქმითაც, რომ „რომას“ ერთგულია. ვესაუბრე აკვილანისაც და მან იგივე გამიმეორა, რაც პრესას უთხრა — ალბერტო რჩება“ — თქვა „რომას“ მთავარმა მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ.

სერიოზული პრობლემა „გლადიატორებს“, შესაძლოა, ამანტინო მანსინისთან შეექმნათ. ბრაზილიელი დიდი ხანია, ხელფასის მომატებას ითხოვს და წასვლით იმუქრება. ხელმძღვანელობა ჯერჯერობით მასთან შეთანხმებას ვერ ახერხებს.

„მანსინი? ადამიანთან კარგი ურთიერთობა არ ნიშნავს, რომ მაგიდასთან დავსხდებით და ახალ კონტრაქტზე უცებ შევთანხმდებით. იმედია, ხელმძღვანელობა ამანტინოს მოელაპარაკება. რაც შეეხება ტრანსფერებს, ორ ახალ მოთამაშეს ვეძებთ და არა ხუთს ან ექვსს. ჩემი ნება რომ იყოს, ჯანლუკა ძამბროტასა და სამუელ ეტოოს ავირჩევდი...“ — აღნიშნა სპალეტიმ.

მოგეხსენებათ, ძამბროტა „მილანში“ გადავიდა და რთული სავარაუდოა, რომ ეტოო „რომაში“ აღმოჩნდეს. ასე რომ, სპალეტის სხვა ფეხბურთელებზე მოუწევს ფიქრი.

„ჯალოროსის“ კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი:

„აუცილებლად უნდა მოვუმატოთ. „ინტერზე“ აღარაფერს ვამბობ, „მილანი“, „იუვენტუსი“ და „ფიორენტინა“ კი გაცილებით ძლიერები იქნებიან მომავალ სეზონში და ჩვენც უნდა ვიმოქმედოთ. ცხადია, გრძელი სათადარიგოთა სკამი გვჭირდება, რათა დატვირთვას გავუძლოთ. მომავალი სეზონი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია“.

**ჭოჭი ჭანდელაკი**

## ლიბერტადორესის თასი 2008

ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

**ლიგა დე კიტო (ეკვადორი) 0:0 ამერიკა (მექსიკა) (1:1)**

**ლიგა დე კიტო:** სევალიოსი, კაიე, კამპოსი, ნ. არაუხო, მანსო (ვ. არაუხო), ამბროსი, გერონი, ურუტია, ვერა, სალასი (ვაკა 75), ბიელერი (დელგადო 78)
**მწვრთნელი:** ედგარდო ბაუსა
**ამერიკა:** ოჩოა, როდრიგესი, როხასი, რომერო, ვილია, კასტრო, სანჩესი, სილვა (მოსკედა 75), კაბანიასი, ლოპესი (არგუეიო 65), ესკედა (ფ. იგუაინი 71)
**მწვრთნელი:** ხუან ანტონიო ლუნა
**გაფრთხილება:** ვერა, სანჩესი, ვილია, სილვა, რომერო, კაიე
**გაძევება:** რომერო (58), არგუეიო (90)
**მსაჯი:** პაბლო პოსო (ჩილე)
35 000 მაყურებელი

# ორმოცდათვრამეტში ორი

**ეკვადორის** ჩემპიონმა „ლიგა დე კიტომ" ცხრა კაცით დარჩენილ მექსიკურ „ამერიკას" შინ 0:0 მოუხერხა და სტუმრად გატანილი გოლის წყალობით ლიბერტადორესის თასის ფინალში გავიდა.

ასე და ამგვარად, „ლიგა დე კიტო" გახდა მეორე ეკვადორული კლუბი, რომელმაც ხსენებული შეჯიბრების 58-წლიან ისტორიაში ფინალში გასვლა შეძლო. გასულ კვირას, პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში მეტოქეებმა 1:1 ითამაშეს.

როგორც გაძევებულ და გაფრთხილებულ ფეხბურთელთა რაოდენობიდან ჩანს, კიტოში ჩატარებული თამაში გვარიანად უხეში იყო. აკი მოგახსენეთ, რომ „ამერიკა" ბოლოს 9 ფეხბურთელით იყო მოედანზე. კარლოს ალერტო სანჩეს რომერო 58-ე წუთზე მეორე ყვითლის გამო გააძევეს მოედნიდან, ალეხანდრო არგუეიო კი მსაჯის მიერ წამატებულ წუთებში ენრიკე ვერაზე უკნიდან თავდასხმის გამო დაისაჯა.

და ვინ იქნება „ლიგა დე კიტოს" მეტოქე ფინალში? ბრაზილიური „ფლუმინენსე" ან ლიბერტადორესის თასის ამჟამინდელი მფლობელი, არგენტინული „ბოკა ხუნიორსი". ამ გუნდებმა, პირველ შეხვედრაში 2:2 ითამაშეს, საპასუხო კი, რიო დე ჟანეიროში, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ამ დილით ჰქონდათ.

მაგრამ, დავუბრუნდეთ კიტოში გამართულ მატჩს. თავიდან, „ამერიკას" თავდამსხმელმა, შეჯიბრების ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა, 8-გოლიანმა სალვადორ კაბანიასმა და როდრიგო ლოპესმა მასპინძელთა გოლკიპერს ფრანსისკო სევალიოსს ოსტატობა გამოავლენინეს. მოგვიანებით მომენტები სტუმრების კართანაც შეიქმნა: დამიან მანსომ და კლაუდიო ბიელერმა კინაღამ თავიანთი წილი გოლები შეყარეს — პირველმა მიზანს ფეხით ააცილა, მეორემ კი თავით.

შესვენებიდან ხუთ წუთში, კიტოელთა შემადგენლობაში დისკვალიფიცირებული ლუის ბოლანიოსის მაგივრად მოთამაშე ფრანკლინ სალასმა ჯერ ძელს გაარტყა ბურთი, ამ ამბიდან ორი წუთის შემდეგ კი ერთხელაც გაუცუდდა მომენტი.

ამას „ამერიკას" მხრიდან მოყვა მატჩის საუკეთესო ეპიზოდი: კაბანიასის დაბლა დარტყმულმა ბურთმა ფეხბურთელთა ჯარში გზა მოხერხებულად გაიკვალა, მაგრამ მეკარე სევალიოსს ვერაფერი მოუხერხა.

ამის მერე იყო ეპიზოდი, რომლის შესახებაც თავში მოგახსენეთ — რომეროს გაძევებას ვგულისხმობთ — და „ლიგა დე კიტომაც" ამოისუნთქა. მანსომ საჯარიმო დარტყმით ძელს გაარტყა ბურთი, შემდეგ, „ამერიკას" მეკარემ გილიერმო ოჩოამ ხოფრე გერონის დარტყმული მოიგერია ფეხით — მანამდე გერონმა მექსიკელთა დაცვაში გაინავარდა. გერონმა მოგვიანებით კიდევ ერთი მომენტი გაუშვა ხელიდან: ბოლოწამს ოჩოას სუსტად დაურტყა, არადა აგუსტინ დელგადო სულ თავისუფალი ჰყავდა შორიახლოს, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი ისე დასრულდა, ეკვადორელებს რომ უნდოდეთ.

**პაპუნა ძიძია**


კლაუდიო ბიელერი

## ჩილე

აპერტურა. კლეი ოფი. ფინალი. საპასუხო მატჩი

ევერტონი 3:0 კოლო კოლო (0:2)

# საფეხბურთო ლეგენდები

**გიორგი ქაქაბაძე**



### ლეგენდა №38
## ჯონ ტომსონი

1931 წლის 5 სექტემბერს ტრადიციული და ერთმანეთზე გადამტერებული მეტოქეების, „რეინჯერსისა" და „სელტიკის" გლაზგოურ დერბიში, რომელიც „რეინჯერსის" „აიბროქსზე" გაიმართა, ტრაგიკული ინციდენტი მოხდა. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული გახლდათ, როცა „სელტიკის" ახალგაზრდა მეკარე ჯონ ტომსონი მასპინძელთა თავდამსხმელს სემ ინგლიშს ფეხებში ჩაუვარდა და მოგვიანებით, იმავ საღამოს გარდაიცვალა. შეჯახებისას მას ინგლიშის მუხლმა თავის ქალა დაუზიანა და ტომსონის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

თავდაპირველად, ყველას ეგონა, რომ ტომსონი მძიმედ დაშავდა, მაგრამ გადარჩებოდა. მხოლოდ რამდენიმე ადამიანი მიხვდა, რომ საქმე სერიოზულად იყო. მათ შორის, ერთ-ერთი რეინჯერსელიც, რომელიც სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი გახლდათ და მოგვიანებით ამბობდა, იმწუთასვე მივხვდი, რომ ტომსონს გადარჩენის შანსი ფაქტობრივად აღარ ჰქონდაო. მატჩის დარჩენილმა წუთებმა ულიმღამოდ ჩაიარა და ფრედ, 0:0 მორჩა.

22 წლის ტომსონის გარდაცვალება ყველასთვის შოკისმომგვრელი გახლდათ. ამას ინგლიშიც ძალიან განიცდიდა, რომელიც არავის დაუდანაშაულებია, ეს უბედური შემთხვევა გახლდათ. მას შემდგომში ძალიან პოპულარული სიმღერა „ჯონი ტომსონიც" მიუძღვნეს.

ტომსონის საჯარო პანაშვიდზე მის საპატივცემულოდ 30 ათასზე მეტი ადამიანი მივიდა. დაკრძალვას კი დაახლოებით 3 ათასი ადამიანი დაესწრო. მას საპატიო ადგილი უკავია „სელტიკისა" და მთლიანად შოტლანდიური ფეხბურთის ისტორიაში.

ტომსონი 17 წლის ასაკში დამკვიდრდა გუნდის შემადგენლობაში და „სელტიკს" ორჯერ შოტლანდიის თასის მოგებაში დაეხმარა, ეროვნულ ნაკრებში კი 4 მატჩი ჩაატარა. მას ყველა ძალიან ნიჭიერ მეკარედ მიიჩნევდა. ჯონი ფაქტობრივად ყველას უყვარდა, მას კეთილ და თამამ ადამიანდად იცნობდნენ. იგი ეკლესიური პიროვნება გახლდათ და ძალიან უყვარდა ფეხბურთი.

### ლეგენდა №39
## სამეფო გუნდი

1985 წელს მადრიდში რამდენიმე სტუდენტმა და პროსფესორმა დაარსეს კლუბი „Football Sky", რომელიც 1900 წელს ორ გუნდად გაიყო: „New Foot-Ball de Madrid"-ად და „Club Español de Madrid"-ად. მეორე მათგანი 1902 წელს კიდევ ორ კლუბად განაწილდა და ასე, 1902 წლის 6 მარტს დაარსდა „Sociedad Madrid FC", რომელსაც უბრალოდ „მადრიდს" ეძახდნენ და დღეს მადრიდის „რეალის" სახელით ვიცნობთ...

„მადრიდმა" თავიდნავე მოიხვეჭა პოპულარობა და მიაღწია წარმატებებს. მადრიდელთა უამრავ ტიტულს შორისაა ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის, ჩემპიონთა ცხრა თასი, რაც, მოგეხსენებათ, ჯერჯერობით საუკეთესო შედეგია. ფიფამ „რეალი" მე-20 საუკუნის საუკეთესო გუნდად დაასახელა.

რაც შეეხება წოდებას „სამეფო" (ესპანურად Royal და ინგლისურად Real), ეს წოდება გუნდს 1920 წელს მეფე ალფონსო XIII-მ ოფიციალურად მიანიჭა და მას მერე „მადრიდი" „რეალად", ან მეორენაირად, უბრალოდ, სამეფო გუნდად მოიხსენიება.

სხვათა შორის, „რეალი" კიდევ ერთი განსაკუთრებულობით გამოირჩევა. ეს ერთ-ერთია იმ იშვიათ კლუბებს შორის, რომლებიც დაარსების დღიდან მისი მრავალრიცხოვანი წევრების საკუთრებაა და არა რომელიმე ან რამდენიმე კონკრეტული მდიდარი ადამიანისა თუ ბიზნესმენის და რეალურად მისი წევრების მიერვე იმართება.

### ლეგენდა №40
## უსწრაფესი გოლი

2003 წლის 11 იანვარს სან პაულუს შტატის იუნიორთა ჩეპიონატში „ატლეტიკუ მინეირუს" ახალგაზრდული გუნდის თავდამსხმელმა ფრედმა „ვილია ნოვას" გოლი მატჩის დაწყებიდან 3,53 წამში გაუტანა.

ბრაზილიულმა პრესამ მყისვე განაცხადა, ეს ჩვენს ისტორიაში უსწრაფესი გოლია და ალბათ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაშიცო, მაგრამ... გინესის რეკორდების წიგნში უსწრაფესი გოლის ავტორად ურუგვაელი რიკარდო ოლივეირა ითვლება, რომელმაც 1998 წლის 26 დეკემბერს რიო ნეგროსა და სორიანოს პროვინციათა ნაკრებების შეხვედრისას გოლი 2,8 წამში გაიტანა. ოლივეირამ მატჩის დაწყებისთანავე კარში დაარტყა.

აღსანიშნავია, რომ ფიფას ძველი წესებით, თამაშის დაწყებისთანავე კარში დარტყმა იკრძალებოდა, ფეხბურთელებს ბურთი უნდა გაეთამაშებინათ, მაგრამ მოგვიანებით ეს წესი შეიცვალა.

ეროვნულ ჩემპიონატებში ყველაზე სწრაფი გოლის ავტორად დემიენ მორისი ითვლება. მან ავსტრალიის ჩემპიონატში, „ადელაიდ სიტისა" და „სიდნეი იუნაიტედის" შეხვედრის დაწყებიდან 3,68 წამში გამოიჩინა თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | იტალია. სერია C | | | | | | |
| | | 8 ივნისი | | | | | | |
| 18:00 | 262 | კრემონეზე-ჩიტადელა | 1.90 | 2.70 | 4.65 | 1.11 | 1.34 | 1.70 |
| 18:00 | 263 | ანკონა-ტარანტო | 2.35 | 2.70 | 3.25 | 1.25 | 1.36 | 1.47 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 7 ივნისი | | | | | | |
| 20:30 | 145 | ელჩე-პერკულესი | 2.40 | 2.90 | 3.05 | 1.31 | 1.34 | 1.48 |
| | | 8 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 144 | კადისი-სევილი ბ | 1.55 | 3.50 | 6.50 | 1.07 | 1.25 | 2.27 |
| 20:00 | 146 | ლას პალმასი-სერესი | 3.30 | 2.90 | 2.25 | 1.54 | 1.33 | 1.26 |
| 20:00 | 147 | ეხიდო-ალბასეტე | 2.60 | 3.15 | 2.55 | 1.42 | 1.28 | 1.40 |
| 20:00 | 148 | ეიბარი-ნუმანსია | 1.85 | 3.20 | 4.35 | 1.17 | 1.29 | 1.84 |
| 20:00 | 149 | კასტელონი-სპორტინგი | 3.75 | 3.00 | 2.05 | 1.66 | 1.32 | 1.21 |
| 20:00 | 150 | კორდობა-ფეროლი | 2.15 | 3.00 | 3.40 | 1.25 | 1.31 | 1.59 |
| 20:00 | 151 | ალავესი-სოსიედადი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 20:00 | 152 | სალამანკა-სელტა | 2.15 | 2.90 | 3.60 | 1.23 | 1.34 | 1.60 |
| 20:00 | 153 | ტენერიფე-ტარაგონა | 2.15 | 2.90 | 3.60 | 1.23 | 1.34 | 1.60 |
| 20:00 | 154 | გრანადა-მალაგა | 3.40 | 3.10 | 2.10 | 1.62 | 1.29 | 1.25 |
| | | ბელგია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 5 ივნისი | | | | | | |
| 22:30 | 250 | ტუბეკე-პევერლე | 1.55 | 3.60 | 5.20 | 1.08 | 1.19 | 2.12 |
| 22:30 | 251 | ლომელი-ანტვერპენი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| | | დანია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 5 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 155 | ნესტვედი-ფრედერისია | 2.35 | 3.30 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 21:00 | 156 | იოლსტიკე-ჰერფიოლგე | 4.50 | 3.80 | 1.55 | 2.06 | 1.15 | 1.10 |
| 21:00 | 157 | ჰვიდოვრე-კოლდინგი | 1.95 | 3.50 | 3.40 | 1.25 | 1.23 | 1.72 |
| 21:00 | 158 | სილკებორგი-ჰელერუპი | 1.45 | 4.10 | 6.50 | 1.07 | 1.18 | 2.51 |
| 21:00 | 159 | ორჰუსი ფრ-აკადემისკი | 2.25 | 3.40 | 2.75 | 1.35 | 1.23 | 1.52 |
| 21:00 | 160 | კიოგე-ფრემი | 2.25 | 3.30 | 2.75 | 1.33 | 1.23 | 1.50 |
| 21:00 | 161 | ვეილე-ლოლანდი | 1.30 | 4.00 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.76 |
| 21:00 | 162 | სკივე-სანდერილანდი | 3.75 | 3.25 | 1.85 | 1.74 | 1.23 | 1.17 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 5 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 172 | ვოლერენგა-ჰამ კამი | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| | | 7 ივნისი. | | | | | | |
| 18:00 | 174 | სტრომგოდსეტი-სტაბეკი | 3.10 | 3.40 | 2.15 | 1.62 | 1.26 | 1.31 |
| | | 8 ივნისი | | | | | | |
| 18:00 | 173 | მოლდე-ლინი | 2.25 | 3.40 | 2.90 | 1.35 | 1.26 | 1.56 |
| 18:00 | 175 | ვიკინგი-ბოდიო გლიმტი | 1.80 | 3.40 | 4.30 | 1.17 | 1.26 | 1.89 |
| 18:00 | 176 | ტრომსიო-ფრედრიკსტადი | 1.95 | 3.40 | 3.60 | 1.23 | 1.26 | 1.74 |
| 18:00 | 177 | ლილესტრიომი-ალესუნდი | 1.80 | 3.50 | 4.20 | 1.18 | 1.25 | 1.90 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 5 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 190 | ჰეკენი-იორგრიტე | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 18:00 | 191 | ვესბი-ანგელჰოლმი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 21:00 | 192 | ლანდსკრონა-დეგერფორსი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 21:00 | 193 | ასირისკა-ატვიდაბერგი | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| | | აშშ. MLS | | | | | | |
| | | 6 ივნისი | | | | | | |
| 03:30 | 208 | ნიუ იორკი-ჩივასი | 2.20 | 3.20 | 2.95 | 1.30 | 1.26 | 1.53 |
| | | არგენტინა: კლაუსურა | | | | | | |
| | | 7 ივნისი | | | | | | |
| 23:10 | 218 | რასინგი-ურაკანი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 04:15 | 219 | ნიუელზი-ხიმნასია ჟ | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 02:00 | 224 | არსენალი-ხიმნასია ლპ | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| | | 8 ივნისი | | | | | | |
| 01:20 | 215 | სან მარტინი-როსარიო | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 23:20 | 216 | ესტუდიანტესი-კოლონი | 1.45 | 3.70 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.42 |
| 23:20 | 217 | რივერ პლეიტი-ოლიმპო | 1.37 | 3.90 | 7.50 | 1.01 | 1.15 | 2.56 |
| 04:10 | 220 | სან ლორენსო-ბანფილდი | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 01:20 | 221 | ტიგრე-არგინტინოს ხუნიორსი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 21:00 | 223 | ველესი-ინდეპენდიენტე | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | 9 ივნისი | | | | | | |
| 01:40 | 222 | ლანუსი-ბოკა ხუნიორსი | 3.40 | 3.10 | 2.00 | 1.62 | 1.25 | 1.21 |
| | | საერთაშორისო. ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 7 ივნისი | | | | | | |
| 05:15 | 261 | ბრაზილია-ვენესუელა | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| | | UEFA. ევროპის ჩემპიონატი 2008 | | | | | | |
| | | 7 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 1 | შვეიცარია-ჩეხეთი | 2.75 | 3.20 | 2.50 | 1.47 | 1.30 | 1.40 |
| 22:45 | 2 | პორტუგალია-თურქეთი | 1.75 | 3.30 | 5.00 | 1.14 | 1.29 | 1.98 |
| | | 8 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 3 | ავსტრია-ხორვატია | 4.50 | 3.30 | 1.85 | 1.90 | 1.31 | 1.18 |
| 22:45 | 4 | გერმანია-პოლონეთი | 1.57 | 3.50 | 6.50 | 1.08 | 1.26 | 2.27 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10155 | ნესტვედი-ფრედერისია | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10156 | იოლსტიკე-ჰერფიოლგე | 4.35 | 2.00 | 2.20 | 1.37 | 1.46 | 1.04 |
| 10157 | ჰვიდოვრე-კოლდინგი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10158 | სილკებორგი-ჰელერუპი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10159 | ორჰუსი ფრ-აკადემისკი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10160 | კიოგე-ფრემი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10161 | ვეილე-ლოლანდი | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10162 | სკივე-სანდერილანდი | 4.15 | 2.00 | 2.25 | 1.34 | 1.45 | 1.05 |
| 10172 | ვოლერენგა-ჰამ კამი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10190 | ჰეკენი-იორგრიტე | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10191 | ვესბი-ანგელჰოლმი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10192 | ლანდსკრონა-დეგერფორსი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10193 | ასირისკა-ატვიდაბერგი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10001 | შვეიცარია-ჩეხეთი | 3.15 | 2.00 | 2.80 | 1.22 | 1.48 | 1.16 |
| 10002 | პორტუგალია-თურქეთი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10003 | ავსტრია-ხორვატია | 4.70 | 2.10 | 2.10 | 1.45 | 1.45 | 1.04 |
| 10004 | გერმანია-პოლონეთი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 4.80 | 2.10 | 2.10 | 1.46 | 1.46 | 1.04 |
| 10006 | ჰოლანდია-იტალია | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10007 | ესპანეთი-რუსეთი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10008 | საბერძნეთი-შვედეთი | 3.05 | 2.00 | 2.90 | 1.20 | 1.48 | 1.18 |
| 10009 | ჩეხეთი-პორტუგალია | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10010 | შვეიცარია-თურქეთი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10011 | ხორვატია-გერმანია | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10012 | ავსტრია-პოლონეთი | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10013 | იტალია-რუმინეთი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10014 | ჰოლანდია-საფრანგეთი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10015 | შვედეთი-ესპანეთი | 4.90 | 2.10 | 2.10 | 1.47 | 1.47 | 1.04 |
| 10016 | საბერძნეთი-რუსეთი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10017 | შვეიცარია-პორტუგალია | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |
| 10018 | თურქეთი-ჩეხეთი | 3.80 | 2.00 | 2.35 | 1.31 | 1.45 | 1.08 |
| 10019 | პოლონეთი-ხორვატია | 4.10 | 2.00 | 2.30 | 1.34 | 1.47 | 1.06 |
| 10020 | ავსტრია-გერმანია | 7.00 | 2.50 | 1.55 | 1.84 | 1.26 | 1.00 |
| 10021 | ჰოლანდია-რუმინეთი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10022 | საფრანგეთი-იტალია | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10023 | რუსეთი-შვედეთი | 3.15 | 2.00 | 2.80 | 1.22 | 1.48 | 1.16 |
| 10024 | საბერძნეთი-ესპანეთი | 4.40 | 2.00 | 2.20 | 1.37 | 1.46 | 1.04 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11155 | ნესტვედი-ფრედერისია | 10.00 | 5.60 | 20.00 | 6.50 | 4.40 | 3.80 | 20.00 | 10.00 | 2.90 |
| 11156 | იოლსტიკე-ჰერფიოლგე | 4.40 | 3.00 | 10.00 | 10.00 | 4.00 | 6.00 | 5.30 | 20.00 | 20.00 |
| 11157 | ჰვიდოვრე-კოლდინგი | 2.80 | 20.00 | 6.50 | 5.60 | 10.00 | 3.80 | 10.00 | 4.40 | 20.00 |
| 11158 | სილკებორგი-ჰელერუპი | 3.50 | 4.60 | 20.00 | 20.00 | 10.00 | 9.00 | 10.00 | 2.20 | 8.00 |
| 11159 | ორჰუსი ფრ-აკადემისკი | 20.00 | 10.00 | 4.40 | 20.00 | 4.60 | 10.00 | 5.00 | 3.40 | 4.40 |
| 11160 | კიოგე-ფრემი | 2.80 | 5.60 | 6.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 3.80 | 10.00 | 20.00 |
| 11161 | ვეილე-ლოლანდი | 1.65 | 11.00 | 3.50 | 15.00 | 30.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 5.00 |
| 11162 | სკივე-სანდერილანდი | 5.30 | 20.00 | 6.00 | 10.00 | 4.40 | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 |
| 11172 | ვოლერენგა-ჰამ კამი | 3.80 | 20.00 | 10.00 | 10.00 | 9.00 | 10.00 | 2.05 | 4.50 | 20.00 |
| 11190 | ჰეკენი-იორგრიტე | 4.40 | 20.00 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 10.00 | 3.80 | 2.80 | 5.60 |
| 11191 | ვესბი-ანგელჰოლმი | 6.00 | 5.30 | 20.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 | 10.00 |
| 11192 | ლანდსკრონა-დეგერფორსი | 9.00 | 8.00 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 2.20 | 3.50 | 20.00 | 10.00 |
| 11193 | ასირისკა-ატვიდაბერგი | 7.50 | 2.60 | 20.00 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 10.00 | 6.50 | 3.60 |
| 11001 | შვეიცარია-ჩეხეთი | 20.00 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 10.00 | 4.40 | 4.80 | 4.40 | 4.00 |
| 11002 | პორტუგალია-თურქეთი | 20.00 | 3.60 | 10.00 | 6.00 | 10.00 | 20.00 | 7.00 | 4.40 | 2.70 |
| 11003 | ავსტრია-ხორვატია | 7.00 | 3.50 | 20.00 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 | 40.00 |
| 11004 | გერმანია-პოლონეთი | 20.00 | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 7.00 | 7.50 |
| 11005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 10.00 | 7.00 | 20.00 | 3.50 | 2.50 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 7.50 |
| 11006 | ჰოლანდია-იტალია | 20.00 | 3.50 | 4.40 | 10.00 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 | 4.40 |
| 11007 | ესპანეთი-რუსეთი | 2.30 | 10.00 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 7.00 | 4.60 |
| 11008 | საბერძნეთი-შვედეთი | 10.00 | 4.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11009 | ჩეხეთი-პორტუგალია | 4.40 | 10.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 | 20.00 |
| 11010 | შვეიცარია-თურქეთი | 10.00 | 20.00 | 5.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.00 | 3.00 | 6.00 |
| 11011 | ხორვატია-გერმანია | 3.50 | 4.60 | 10.00 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.40 | 20.00 |
| 11012 | ავსტრია-პოლონეთი | 4.40 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11013 | იტალია-რუმინეთი | 4.40 | 20.00 | 2.70 | 6.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 7.00 | 3.60 |
| 11014 | ჰოლანდია-საფრანგეთი | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 20.00 | 10.00 | 4.00 | 10.00 | 3.60 |
| 11015 | შვედეთი-ესპანეთი | 10.00 | 7.50 | 3.50 | 20.00 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 7.00 | 2.50 |
| 11016 | საბერძნეთი-რუსეთი | 4.00 | 10.00 | 4.80 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.60 | 20.00 |
| 11017 | შვეიცარია-პორტუგალია | 3.30 | 4.80 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11018 | თურქეთი-ჩეხეთი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 5.60 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11019 | პოლონეთი-ხორვატია | 5.30 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 | 20.00 | 10.00 |
| 11020 | ავსტრია-გერმანია | 4.80 | 10.00 | 10.00 | 9.00 | 1.90 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 20.00 |
| 11021 | ჰოლანდია-რუმინეთი | 3.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 | 20.00 | 10.00 |
| 11022 | საფრანგეთი-იტალია | 4.40 | 3.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 4.80 | 4.00 | 4.40 | 20.00 |
| 11023 | რუსეთი-შვედეთი | 20.00 | 4.80 | 4.40 | 20.00 | 3.60 | 4.00 | 10.00 | 4.40 | 10.00 |
| 11024 | საბერძნეთი-ესპანეთი | 4.40 | 6.50 | 10.00 | 7.50 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 | 20.00 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 9 ივნისი | | | | | |
| 20:00 | 5 | რუმინეთი-საფრანგეთი | 4.60 | 3.30 | 1.80 | 1.92 | 1.29 | 1.16 |
| 22:45 | 6 | ჰოლანდია-იტალია | 3.00 | 3.20 | 2.40 | 1.54 | 1.33 | 1.37 |
| | | | 10 ივნისი | | | | | |
| 20:00 | 7 | ესპანეთი-რუსეთი | 1.73 | 3.30 | 5.20 | 1.13 | 1.29 | 2.01 |
| 22:45 | 8 | საბერძნეთი-შვედეთი | 2.90 | 3.10 | 2.50 | 1.49 | 1.34 | 1.38 |
| | | | 11 ივნისი | | | | | |
| 20:00 | 9 | ჩეხეთი-პორტუგალია | 3.15 | 3.20 | 2.30 | 1.58 | 1.32 | 1.33 |
| 22:45 | 10 | შვეიცარია-თურქეთი | 2.25 | 3.20 | 3.20 | 1.32 | 1.32 | 1.60 |
| | | | 12 ივნისი | | | | | |
| 20:00 | 11 | ხორვატია-გერმანია | 3.50 | 3.20 | 2.10 | 1.67 | 1.31 | 1.26 |
| 22:45 | 12 | ავსტრია-პოლონეთი | 3.10 | 3.20 | 2.30 | 1.57 | 1.32 | 1.33 |
| | | | 13 ივნისი | | | | | |
| 20:00 | 13 | იტალია-რუმინეთი | 1.75 | 3.30 | 5.00 | 1.14 | 1.29 | 1.98 |
| 22:45 | 14 | ჰოლანდია-საფრანგეთი | 2.90 | 3.10 | 2.45 | 1.49 | 1.32 | 1.36 |
| | | | 14 ივნისი | | | | | |
| 20:00 | 15 | შვედეთი-ესპანეთი | 4.80 | 3.30 | 1.80 | 1.95 | 1.30 | 1.16 |
| 22:45 | 16 | საბერძნეთი-რუსეთი | 2.60 | 3.10 | 2.70 | 1.41 | 1.32 | 1.44 |
| | | | 15 ივნისი | | | | | |
| 22:45 | 17 | შვეიცარია-პორტუგალია | 3.20 | 3.10 | 2.30 | 1.57 | 1.33 | 1.32 |
| 22:45 | 18 | თურქეთი-ჩეხეთი | 3.10 | 3.20 | 2.25 | 1.57 | 1.30 | 1.32 |
| | | | 16 ივნისი | | | | | |
| 20:00 | 19 | პოლონეთი-ხორვატია | 3.30 | 3.20 | 2.20 | 1.62 | 1.32 | 1.30 |
| 22:45 | 20 | ავსტრია-გერმანია | 8.00 | 3.70 | 1.45 | 2.52 | 1.22 | 1.04 |
| | | | 17 ივნისი | | | | | |
| 22:45 | 21 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.90 | 3.20 | 4.25 | 1.19 | 1.31 | 1.82 |
| 22:45 | 22 | საფრანგეთი-იტალია | 2.90 | 3.00 | 2.55 | 1.47 | 1.35 | 1.37 |
| | | | 18 ივნისი | | | | | |
| 20:00 | 23 | რუსეთი-შვედეთი | 2.60 | 3.20 | 2.60 | 1.43 | 1.29 | 1.43 |
| 22:45 | 24 | საბერძნეთი-ესპანეთი | 4.20 | 3.20 | 1.90 | 1.81 | 1.30 | 1.19 |
| | | | ჩეხეთი | | | | | |
| | | | II დივიზიონი | | | | | |
| | | | 5 ივნისი | | | | | |
| 19:00 | 253 | იჰლავა-ოპავა | 3.55 | 3.20 | 1.85 | 1.68 | 1.21 | 1.17 |
| 19:00 | 254 | ჰრადეც კრალოვე-ტრინეცი | 1.65 | 3.50 | 4.20 | 1.12 | 1.18 | 1.90 |
| 19:00 | 255 | ჰლუჩინი-ფულნეკი | 1.70 | 3.50 | 3.70 | 1.14 | 1.16 | 1.79 |
| 19:00 | 256 | ვიტკოვიცე-სოკოლოვი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 19:00 | 257 | სლოვაცკო-პრჟიბრამი | 2.00 | 3.50 | 2.85 | 1.27 | 1.17 | 1.57 |
| 19:00 | 258 | ოლომოუცი-კრჩი პრაღა | 1.45 | 3.70 | 5.50 | 1.04 | 1.14 | 2.21 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12155 | ნესტველი-ფრედერისია | 2.00 | 1.60 |
| 12156 | იოლსტიკე-ჰერფიოლგე | 2.10 | 1.50 |
| 12157 | ჰვიდოვრე-კოლდინგი | 2.40 | 1.45 |
| 12158 | სილკებორგი-ჰელერუპი | 2.10 | 1.50 |
| 12159 | ორჰუსი ფრ-აკადემისკი 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12160 | კიოგე-ფრემი | 2.10 | 1.50 |
| 12161 | ვეილე-ლოლანდი | 2.20 | 1.50 |
| 12162 | სკივე-სანდერილანდი | 2.00 | 1.60 |
| 12172 | ვოლერენგა-ჰამ კამი | 2.00 | 1.60 |
| 12190 | ჰეკენი-იორგრიტე | 1.90 | 1.70 |
| 12191 | ვესბი-ანგელჰოლმი | 1.90 | 1.70 |
| 12192 | ლანდსკრონა-დეგერფორსი | 2.00 | 1.60 |
| 12193 | ასირისკა-ატვიდაბერგი | 1.90 | 1.70 |
| 12001 | შვეიცარია-ჩეხეთი | 1.60 | 2.00 |
| 12002 | პორტუგალია-თურქეთი | 1.60 | 2.00 |
| 12003 | ავსტრია-ხორვატია | 1.70 | 1.90 |
| 12004 | გერმანია-პოლონეთი | 1.90 | 1.70 |
| 12005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 1.60 | 2.10 |
| 12006 | ჰოლანდია-იტალია | 1.55 | 2.30 |
| 12007 | ესპანეთი-რუსეთი | 1.60 | 2.00 |
| 12008 | საბერძნეთი-შვედეთი | 1.55 | 2.30 |
| 12009 | ჩეხეთი-პორტუგალია | 1.70 | 1.90 |
| 12010 | შვეიცარია-თურქეთი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | ხორვატია-გერმანია | 1.70 | 1.90 |
| 12012 | ავსტრია-პოლონეთი | 1.70 | 1.90 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 13155 | ნესტველი-ფრედერისია | 1.50 | 2.10 |
| 13156 | იოლსტიკე-ჰერფიოლგე | 1.50 | 2.10 |
| 13157 | ჰვიდოვრე-კოლდინგი | 1.40 | 2.20 |
| 13158 | სილკებორგი-ჰელერუპი | 1.50 | 2.10 |
| 13159 | ორჰუსი ფრ-აკადემისკი | 1.50 | 2.10 |
| 13160 | კიოგე-ფრემი | 1.40 | 2.20 |
| 13161 | ვეილე-ლოლანდი | 1.70 | 1.90 |
| 13162 | სკივე-სანდერილანდი | 1.50 | 2.10 |
| 13172 | ვოლერენგა-ჰამ კამი | 1.70 | 1.90 |
| 13190 | ჰეკენი-იორგრიტე | 1.60 | 2.00 |
| 13191 | ვესბი-ანგელჰოლმი | 1.60 | 2.00 |
| 13192 | ლანდსკრონა-დეგერფორსი | 1.70 | 1.90 |
| 13193 | ასირისკა-ატვიდაბერგი | 1.60 | 2.00 |
| 13001 | შვეიცარია-ჩეხეთი | 1.70 | 1.90 |
| 13002 | პორტუგალია-თურქეთი | 1.70 | 1.90 |
| 13003 | ავსტრია-ხორვატია | 1.70 | 1.90 |
| 13004 | გერმანია-პოლონეთი | 1.90 | 1.70 |
| 13005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 1.90 | 1.70 |
| 13006 | ჰოლანდია-იტალია | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ესპანეთი-რუსეთი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | საბერძნეთი-შვედეთი | 1.70 | 1.90 |
| 13009 | ჩეხეთი-პორტუგალია | 1.70 | 1.90 |
| 13010 | შვეიცარია-თურქეთი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | ხორვატია-გერმანია | 1.70 | 1.90 |
| 13012 | ავსტრია-პოლონეთი | 1.70 | 1.90 |

## გოლი:ლუწი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17155 | ნესტველი-ფრედერისია | 1.85 | 1.95 |
| 17156 | იოლსტიკე-ჰერფიოლგე | 1.85 | 1.95 |
| 17157 | ჰვიდოვრე-კოლდინგი | 1.85 | 1.95 |
| 17158 | სილკებორგი-ჰელერუპი | 1.85 | 1.95 |
| 17159 | ორჰუსი ფრ-აკადემისკი | 1.85 | 1.95 |
| 17160 | კიოგე-ფრემი | 1.85 | 1.95 |
| 17161 | ვეილე-ლოლანდი | 1.85 | 1.95 |
| 17162 | სკივე-სანდერილანდი | 1.85 | 1.95 |
| 17172 | ვოლერენგა-ჰამ კამი | 1.85 | 1.95 |
| 17190 | ჰეკენი-იორგრიტე | 1.85 | 1.95 |
| 17191 | ვესბი-ანგელჰოლმი | 1.85 | 1.95 |
| 17192 | ლანდსკრონა-დეგერფორსი | 1.85 | 1.95 |
| 17193 | ასირისკა-ატვიდაბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17001 | შვეიცარია-ჩეხეთი | 1.85 | 1.95 |
| 17002 | პორტუგალია-თურქეთი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ავსტრია-ხორვატია | 1.85 | 1.95 |
| 17004 | გერმანია-პოლონეთი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ჰოლანდია-იტალია | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ესპანეთი-რუსეთი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | საბერძნეთი-შვედეთი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ჩეხეთი-პორტუგალია | 1.85 | 1.95 |
| 17010 | შვეიცარია-თურქეთი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ხორვატია-გერმანია | 1.85 | 1.95 |
| 17012 | ავსტრია-პოლონეთი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | იტალია-რუმინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | ჰოლანდია-საფრანგეთი | 1.85 | 1.95 |
| 17015 | შვედეთი-ესპანეთი | 1.85 | 1.95 |
| 17016 | საბერძნეთი-რუსეთი | 1.85 | 1.95 |
| 17017 | შვეიცარია-პორტუგალია | 1.85 | 1.95 |
| 17018 | თურქეთი-ჩეხეთი | 1.85 | 1.95 |
| 17019 | პოლონეთი-ხორვატია | 1.85 | 1.95 |
| 17020 | ავსტრია-გერმანია | 1.85 | 1.95 |
| 17021 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17022 | საფრანგეთი-იტალია | 1.85 | 1.95 |
| 17023 | რუსეთი-შვედეთი | 1.85 | 1.95 |
| 17024 | საბერძნეთი-ესპანეთი | 1.85 | 1.95 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15155 | ნესტველი-ფრედერისია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15156 | იოლსტიკე-ჰერფიოლგე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15157 | ჰვიდოვრე-კოლდინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15158 | სილკებორგი-ჰელერუპი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15159 | ორჰუსი ფრ-აკადემისკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15160 | კიოგე-ფრემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15161 | ვეილე-ლოლანდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15162 | სკივე-სანდერილანდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15172 | ვოლერენგა-ჰამ კამი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15190 | ჰეკენი-იორგრიტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15191 | ვესბი-ანგელჰოლმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15192 | ლანდსკრონა-დეგერფორსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15193 | ასირისკა-ატვიდაბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15001 | შვეიცარია-ჩეხეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15002 | პორტუგალია-თურქეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | ავსტრია-ხორვატია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | გერმანია-პოლონეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | ჰოლანდია-იტალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ესპანეთი-რუსეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | საბერძნეთი-შვედეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | ჩეხეთი-პორტუგალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | შვეიცარია-თურქეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | ხორვატია-გერმანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | ავსტრია-პოლონეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | იტალია-რუმინეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | ჰოლანდია-საფრანგეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15015 | შვედეთი-ესპანეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15016 | საბერძნეთი-რუსეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15017 | შვეიცარია-პორტუგალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15018 | თურქეთი-ჩეხეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15019 | პოლონეთი-ხორვატია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | ავსტრია-გერმანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15021 | ჰოლანდია-რუმინეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15022 | საფრანგეთი-იტალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15023 | რუსეთი-შვედეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15024 | საბერძნეთი-ესპანეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16155 | ნესტველი-ფრედერისია | 1.38 | 2.65 |
| 16156 | იოლსტიკე-ჰერფიოლგე | 2.90 | 1.32 |
| 16157 | ჰვიდოვრე-კოლდინგი | 1.32 | 3.00 |
| 16158 | სილკებორგი-ჰელერუპი | 1.22 | 3.40 |
| 16159 | ორჰუსი ფრ-აკადემისკი | 1.58 | 2.10 |
| 16160 | კიოგე-ფრემი | 1.34 | 2.80 |
| 16161 | ვეილე-ლოლანდი | 1.08 | 5.00 |
| 16162 | სკივე-სანდერილანდი | 2.45 | 1.40 |
| 16172 | ვოლერენგა-ჰამ კამი | 1.14 | 4.70 |
| 16190 | ჰეკენი-იორგრიტე | 1.34 | 2.80 |
| 16191 | ვესბი-ანგელჰოლმი | 1.45 | 2.45 |
| 16192 | ლანდსკრონა-დეგერფორსი | 1.22 | 3.40 |
| 16193 | ასირისკა-ატვიდაბერგი | 1.25 | 3.40 |
| 16001 | შვეიცარია-ჩეხეთი | 1.95 | 1.65 |
| 16002 | პორტუგალია-თურქეთი | 1.30 | 3.00 |
| 16003 | ავსტრია-ხორვატია | 2.90 | 1.32 |
| 16004 | გერმანია-პოლონეთი | 1.23 | 3.60 |
| 16005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 3.00 | 1.30 |
| 16006 | ჰოლანდია-იტალია | 2.10 | 1.60 |
| 16007 | ესპანეთი-რუსეთი | 1.24 | 3.60 |
| 16008 | საბერძნეთი-შვედეთი | 1.85 | 1.80 |
| 16009 | ჩეხეთი-პორტუგალია | 2.10 | 1.60 |
| 16010 | შვეიცარია-თურქეთი | 1.50 | 2.30 |
| 16011 | ხორვატია-გერმანია | 2.10 | 1.60 |
| 16012 | ავსტრია-პოლონეთი | 2.10 | 1.60 |
| 16013 | იტალია-რუმინეთი | 1.30 | 3.00 |
| 16014 | ჰოლანდია-საფრანგეთი | 2.05 | 1.65 |
| 16015 | შვედეთი-ესპანეთი | 3.00 | 1.30 |
| 16016 | საბერძნეთი-რუსეთი | 1.70 | 1.95 |
| 16017 | შვეიცარია-პორტუგალია | 2.20 | 1.50 |
| 16018 | თურქეთი-ჩეხეთი | 2.30 | 1.45 |
| 16019 | პოლონეთი-ხორვატია | 2.45 | 1.40 |
| 16020 | ავსტრია-გერმანია | 5.70 | 1.11 |
| 16021 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.40 | 2.55 |
| 16022 | საფრანგეთი-იტალია | 2.05 | 1.65 |
| 16023 | რუსეთი-შვედეთი | 1.95 | 1.65 |
| 16024 | საბერძნეთი-ესპანეთი | 2.90 | 1.32 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში,

ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14155 | ნესტველი-ფრედერისია | 1.70 | 2.20 |
| 14156 | იოლსტიკე-ჰერფიოლგე | 2.30 | 1.65 |
| 14157 | ჰვიდოვრე-კოლდინგი | 1.65 | 2.30 |
| 14158 | სილკებორგი-ჰელერუპი | 1.30 | 2.50 |
| 14159 | ორჰუსი ფრ-აკადემისკი | 1.80 | 2.00 |
| 14160 | კიოგე-ფრემი | 1.70 | 2.20 |
| 14161 | ვეილე-ლოლანდი | 1.08 | 2.90 |
| 14162 | სკივე-სანდერილანდი | 2.30 | 1.65 |
| 14172 | ვოლერენგა-ჰამ კამი | 1.30 | 2.50 |
| 14190 | ჰეკენი-იორგრიტე | 1.70 | 2.20 |
| 14191 | ვესბი-ანგელჰოლმი | 1.75 | 2.10 |
| 14192 | ლანდსკრონა-დეგერფორსი | 1.30 | 2.50 |
| 14193 | ასირისკა-ატვიდაბერგი | 1.45 | 2.40 |
| 14001 | შვეიცარია-ჩეხეთი | 1.90 | 1.90 |
| 14002 | პორტუგალია-თურქეთი | 1.65 | 2.30 |
| 14003 | ავსტრია-ხორვატია | 2.30 | 1.65 |
| 14004 | გერმანია-პოლონეთი | 1.45 | 2.40 |
| 14005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 2.30 | 1.65 |
| 14006 | ჰოლანდია-იტალია | 2.00 | 1.80 |
| 14007 | ესპანეთი-რუსეთი | 1.45 | 2.40 |
| 14008 | საბერძნეთი-შვედეთი | 1.90 | 1.90 |
| 14009 | ჩეხეთი-პორტუგალია | 2.00 | 1.80 |
| 14010 | შვეიცარია-თურქეთი | 1.75 | 2.10 |
| 14011 | ხორვატია-გერმანია | 2.00 | 1.80 |
| 14012 | ავსტრია-პოლონეთი | 2.00 | 1.80 |
| 14013 | იტალია-რუმინეთი | 1.65 | 2.30 |
| 14014 | ჰოლანდია-საფრანგეთი | 1.95 | 1.85 |
| 14015 | შვედეთი-ესპანეთი | 2.30 | 1.65 |
| 14016 | საბერძნეთი-რუსეთი | 1.85 | 1.95 |
| 14017 | შვეიცარია-პორტუგალია | 2.00 | 1.80 |
| 14018 | თურქეთი-ჩეხეთი | 2.10 | 1.75 |
| 14019 | პოლონეთი-ხორვატია | 2.20 | 1.70 |
| 14020 | ავსტრია-გერმანია | 2.60 | 1.20 |
| 14021 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.70 | 2.20 |
| 14022 | საფრანგეთი-იტალია | 1.95 | 1.85 |
| 14023 | რუსეთი-შვედეთი | 1.90 | 1.90 |
| 14024 | საბერძნეთი-ესპანეთი | 2.20 | 1.70 |

# ხვალინდელი ქათამი სჯობს...

## შერმადინს წლევანდელ მეორეს მომავლის პირველი ურჩევნია




ჯამლეტ ხუხაშვილი დრაფტის კანდიდატებთან, ალექსის აჯინგასთან და გიორგი შერმადინთან ერთად

**დღეს** იწყება გიორგი შერმადინის გადამწყვეტი ბრძოლა დრაფტისთვის. ნბა-ს გუნდებმა უკვე გაუღეს კარი პროფესიულ ლიგაში შებიჯების მსურველ ნიჭიერ ახალგაზრდებს... ყველა სკაუტი, მენეჯერი და მწვრთნელი თავის კლუბის ბაზაზეა მობილიზებული და გულდასმით აკვირდება მათი დარბაზის სტუმარ ტალიკ-ტალიკ ბიჭებს, რომელთაგანაც რამდენიმეს თვალს დაადგავს და 27 ივნისის საღამოს „მედისონ სკვერ გარდენის“ განთქმულ დარბაზში გამართულ დრაფტზე აირჩევს.

დრაფტის კანდიდატებიც ერთი კლუბის დარბაზიდან მეორეში დადიან, მესამეში და ასე შემოივლიან თითქმის მთელ ამერიკას. ყველაზე მეტი მიდი-მოდი იმას უწევს, ვისაც ნაკლები სახელი აქვს და ასე „კარდაკარ“ სიარულით აწონებს კლუბთა ბოსებს თავს. ფავორიტებისთვის კი ყველაფერი იოლადაა. მათზე დრაფტის მოწინავე რიგში მდგარი გუნდები არიან ჩასაფრებულნი და ისინიც მხოლოდ ამ გუნდებს თუ შეუვლიან ხოლმე.

გიორგი შერმადინი 2 თვეზე მეტი კია, რაც ამერიკაშია, მაგრამ მისი სახელი ისე არ ქუხს, რომ თავი დაიარხეინოს და დრაფტის პირველ რაუნდში არჩევა განაღდებულად ჩათვალოს. ის კი არა, არც ერთ სადრაფტო საიტზე ქართველი გოლიათის სახელს სპეციალისტები მეორე რაუნდში სავარაუდო არჩეულთა შორისაც არ ასახელებენ. მას საკმაოდ კარგი დახასიათება კი აქვს პირად ფაილში, მაგრამ მისნაირი იქ ძალიან ბევრია, უფრო სწორად, მათ ამერიკელები მოხარშულებს იცნობენ სტუდენტურ ლიგაში გამოვლილი სეზონებიდან.

ამიტომაც, თუ მართლაც განსაკუთრებული მონაცემებისა არ არის, ევროპელს ამერიკელებისგან განსხვავებით უჭირს წინასადრაფტო სახელის დაგდება. რა თქმა უნდა, ბოლო წლებში საკმარისზე მეტი არაამერიკელი აირჩიეს მოწინავე ნომრებად, მაგრამ მათგან ბევრმა არ გაამართლა გაცემული ავანსები და ახლა ვითარება დიამეტრიალურად შეიცვალა. შარშანდელ დრაფტზე ყველაზე მაღალ ნომრად არჩეული ევროპელი მარკო ბელინელი იყო, რომელიც მე-18 საფეხურზე მდგარმა „გოლდენ სტეიტმა“ შეიმატა და იტალიელმა მთელი სეზონი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. არაფერს ვამბობთ იმის წინა დრაფტზე პირველ ნომრად აყვანილ, მაგრამ ამ ნომრისთვის სრულიად შეუფერებელ ასევე იტალიელ ანდრე ბარნანიზე.

წლეულსაც გაძვირებულია სადრაფტო ადგილები არაამერიკელებისთვის. ათეულში მოხვედრას სპეციალისტები მხოლოდ იტალიელ ჯუზეპე გალინარის უწინასწარმეტყველებენ, ხოლო ევროპაში ყველაზე მზარდი ცენტრი, ჩერნოგორიელი ნიკოლა პეკოვიჩი სულაც მეორე რაუნდშია გადასროლილი. პეკოვიჩი გასულ სეზონში ბელგრადის „პარტიზანში“ თამაშობდა და ამ გუნდმა რომ ევროლიგის პირველ-მეორე ჯგუფური ეტაპები გადალახა და პლეი ოფში ითამაშა, პეკოვიჩის დიდი დამსახურებაა. ჩერნოგორიელი ცენტრი არაერთხელ დასახელდა ევროლიგის ტურის საუკეთესო მოთამაშედ და ასეთ ბიჭს წელებზე ფეხების დადგმა სჭირდება, რომ დრაფტის პირველ წრეში (30-ეულში) მოხვდეს.

შერმადინი კი საქართველოს ჩემპიონატის უსუსტეს გუნდ „მაკაბიში“ თამაშობდა და აქ ჩაგდებული 60 და 70 ქულები ამერიკელებისთვის რამდენად მომხიბვლელი იქნება, მალე გამოჩნდება. შერმადინი 6 ივნისს იტალიაში, ნბა-ს ერთ-ერთ ყველაზე წარმომადგენლობით კემპზე უნდა იყოს, სადაც მასთან ერთად კიდევ ორი ქართველი დაენახვება ამერიკელ სკაუტებს — გიორგი ცინცაძე და მანუჩარ მარკოიშვილი.

ტრევიზოში გამგზავრებამდე შერმადინს „პორტლენდში“ უნდა ევარჯიშა. პორტლენდელებმა გუშინწინ გახსნეს წინასადრაფტო კემპი და 23 ივნისამდე 51 ახალგაზრდას გამოცდიან. პირველ დღეს ორეგონელებმა სამი დრაფტ-კანდიდატი შეამოწმეს: შვედი რუდი მბენგა, ფრანგი როდრიგ ბუბისი და ამერიკელი მაიკ გრინი.

როგორც პორტლენდული პრესა წერს, „ბლეიზერსი“ ამ ბიჭებს დრაფტის მეორე რაუნდის ჭრილში განიხილავს, რაკი პირველში ორეგონელები სტუდენტური ლიგის ფინალში UCLA-ს გამყვან კევინ ლავს უმიზნებენ. თუმცა ამ ყოჩაღ ფორვარდზე დრაფტზე „პორტლენდის“ (მე-13 ადგილი) წინ მდგარი გუნდებიც არიან ჩასაფრებულები და „ბლეიზერსს“ სამარქაფო კანდიდატებიც შეუგულებია. მათ შორის, სამწუხაროდ, პორტლენდელი ჟურნალისტები არ ასახელებენ გიორგი შერმადინს. აი, ისინიც: რასელ ვესტბრუკი, ტაივონ ლიუსონი, დი ჯეი ოგუსტინი, ბრენდონ რაში, რობინ ლოპესი და დარელ არტური.

„ბლეიზერსს“ მეორე რაუნდში ყველაზე მეტი, 3 არჩევნის უფლება აქვს (33, 36, 56) და ამიტომაც დაპატიჟა თავის ვარჯიშებზე ამდენი (51) მოთამაშე. შერმადინი სხვა კანდიდატებთან ერთად სწორედ მეორე რაუნდისთვის მოიაზრება. „თუკი ისინი კლუბის ბოსებს თავს მოაწონებენ, მეორე რაუნდში არჩევის კარგი შანსი ექნებათ“ — ვარაუდობს გაზეთ „ჰუპსვორლდის“ ჟურნალისტი და შერმადინთან ერთად რამდენიმე არაამერიკელ მოთამაშეს ასახელებს.

არადა, შერმადინის აღმზრდელ ჯამლეტ ხუხაშვილს უპირველესად სწორედ „პორტლენდის“ ეიმედებოდა. „ბლეიზერსი“ ძალიან დაინტერესებულია გიორგით და არ სურს, რომ ის სხვა გუნდმა აირჩიოსო — ამბობდა შერმადინის ამერიკაში გამგზავრებამდე ხუხაშვილი.

ორიოდ დღის წინ კი „მაკაბის“ მწვრთნელმა ასეთი რამ გვითხრა: „თუკი იმის გარანტია არ გვექნება, რომ შერმადინს პირველ წრეში აირჩევენ, წლევანდელი დრაფტიდან მის კანდიდატურას მოვხსნით. ამ სეზონს გიორგი რომელიმე ევროპულ კლუბში ითამაშებს, კლასს აიმაღლებს და მომავალი წლის დრაფტზე დადგება“.

აქვე განვმარტოთ, რომ დრაფტზე დამდგარ კანდიდატებს განაცხადის უკან გამოტანა 16 ივნისამდე შეუძლიათ. საერთოდ კი, თუ განაცხადს შეიტან, კანდიდატურის მოხსნა ერთხელ შეიძლება, ხოლო ასაკობრივი ცენზი 22 წელია. შერმადინის 22 წლამდე ჯერ შორია, თუმც თუ წლეულს კანდიდატურას მოხსნის, მომდევნო ჯერზე აუცილებლად უნდა დაელოდოს დრაფტის შედეგებს.

„პორტლენდის“ გარდა გიორგის მენეჯერ ტოდ რამასარს სხვა გუნდებიც ეყოლება შეგულებული, სადაც მას 16 ივნისამდე სავარჯიშოდ მიიყვანს. მანამდე კი გრანდიოზული ტრევიზოს კემპია, სადაც ნბა-ს თითქმის ყველა კლუბის დამკვირვებლებთან ერთად ევროპელი სპეციალისტებიც მრავლად იქნებიან.

**ირაკლი პერტაია**

მთამსვლელობა

# ოჯახით ამადაბლამზე

## გუჯაბიძეებმა დედის სამკაული დალაშქრეს

**23 მაისს** ქართველი მთამსვლელები, მამა-შვილი ბიძინა და ირაკლი გუჯაბიძეები ჰიმალაის მთათა სისტემის მწვერვალ ამა-დაბლამზე ავიდნენ. 6812-მეტრიანი მწვერვალის დასალაშქრად მთამსვლელები სამკაციანი შემადგენლობით გაემართნენ. მამა-შვილის გარდა, ჯგუფში ლევან მუშკუდიანიც ირიცხებოდა, მაგრამ მწვერვალის პიკამდე 200-ოდე მეტრიღა იყო დარჩენილი, როცა მუშკუდიანმა უკან მობრუნება გადაწყვიტა. ახლა ალპინისტები თბილისში არიან და ექსპედიციასთან დაკავშირებით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში პრესკონფერენციაც გამართეს.

*ბიძინა გუჯაბიძე:* ამა-დაბლამი ულამაზესი და ტექნიკურად რთულად ასასვლელი მწვერვალია. სახელიც ლამაზი ჰქვია, რაც ქართულად ნიშნავს „სამკაული დედისთვის“. შარშანაც ვცადეთ ასვლა, მაგრამ უამინდობის გამო ხელი მოგვეცარა. წლეულს კი მართალია, კვლავაც რთული მეტეოპირობები იყო, მაგრამ შეგვრცხვა უკან გამობრუნების და სამკაციანი შემადგენლობით შევუტიეთ ალმართს. 5000-დან 7000 მეტრამდე შეგვხვდა ორი ათასმეტრიანი უამინდობის შრე, რომელიც წარმატებით დავძლიეთ. სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ ამოვიდა ლევან მუშკუდიანი. ირაკლიმ კი გაუძლო დატვირთვას. რა თქმა უნდა, ალპინისტების შესაძლებლობების ზღვარიც ინდივიდუალურია. აღმოჩნდა, რომ ირაკლის 6800-მეტრიანი ბარიერის გადალახვა შეუძლია. საერთოდ, მიღებული არ არის ექსპედიციაში ოჯახის წევრებთან ერთად წასვლა. ამის გამო ფსიქოლოგიურად ორმაგად გამიჭირდა. ჩემი შვილი ჰიმალაიზე პირველად იყო, მაგრამ კავკასიონზე რამდენიმე რთული მწვერვალი ერთად დაგვილაშქრავს. ჩვენ მომავალშიც ერთად გავაგრძელებთ მთაში სიარულს.

*ირაკლი გუჯაბიძე:* ეს ექსპედიცია ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მეგონა, ცუდად გავხდებოდი და ვერ გავუძლებდი, მაგრამ, საბედნიეროდ, შევცდი.

*ლევან მუშკუდიანი:* ვფიქრობ, ჩემი აუსვლელობის მიზეზი ის გახდა, რომ ფსიქოლოგიურად ვერ მოვემზადე სათანადოდ, თან აკლიმატიზაციაც ვერ გავიარე.

**ზურაბ მიგრიაული**




მამა-შვილი ბიძინა და ირაკლი გუჯაბიძეები

The Finals

5 და 8 ივნისს ბოსტონში, 10 და 12 ივნისს ლოს ანჯელესში
თუ საჭირო გახდა: 15 ივნისს ლოს ანჯელესში, 17 და 19 ივნისს ბოსტონში

## აღმოსავლეთი
### ბოსტონ სელტიქსი

ფინალამდე დაამარცხა: ატლანტა (4:3), კლივლენდი (4:3), დეტროიტი (4:2)
მწვრთნელი: დოკ რივერსი



| | თამ | წუთ | მოხ | პას | ქულ |
|---|---|---|---|---|---|
| **ხუთეული** | | | | | |
| რაჯონ რონდო | 20 | 33,4 | 4,2 | 6,6 | 10,5 |
| რეი ალენი | 20 | 37,1 | 3,4 | 2,8 | 14,2 |
| როლ პირსი | 20 | 37,9 | 5,1 | 4,1 | 19,0 |
| კევინ გარნეტი | 20 | 38,0 | 9,8 | 3,5 | 21,1 |
| კედრიკ პერკინსი | 20 | 27,0 | 6,8 | 0,6 | 7,2 |
| **სათადარიგოები** | | | | | |
| ჯეიმს პოუზი | 20 | 21,1 | 3,5 | 1,3 | 6,1 |
| სემ კასელი | 16 | 13,3 | 0,9 | 1,2 | 4,7 |
| ლეონ პოუი | 17 | 12,8 | 2,5 | 0,2 | 4,6 |
| ფიჯეი ბრაუნი | 19 | 11,8 | 2,1 | 0,4 | 2,6 |
| გლენ დევისი | 16 | 7,7 | 1,3 | 0,4 | 2,3 |

## დასავლეთი
### ლოს ანჯელეს ლეიკერსი

ფინალამდე დაამარცხა: დენვერი (4:0), იუტა (4:2), სან ანტონიო (4:1)
მწვრთნელი: ფილ ჯეკსონი



| | თამ | წუთ | მოხ | პას | ქულ |
|---|---|---|---|---|---|
| **ხუთეული** | | | | | |
| დერიკ ფიშერი | 15 | 31,7 | 2,5 | 2,2 | 10,0 |
| კობი ბრაიანტი | 15 | 40,3 | 6,1 | 5,8 | 31,9 |
| ვლადიმირ რადმანოვიჩი | 15 | 23,5 | 3,4 | 1,5 | 8,3 |
| ლამარ ოდომი | 15 | 37,7 | 10,3 | 2,9 | 14,7 |
| პაუ გასოლი | 15 | 40,1 | 8,9 | 4,2 | 17,7 |
| **სათადარიგოები** | | | | | |
| საშა ვუიაჩიჩი | 15 | 21,5 | 2,3 | 0,7 | 8,1 |
| ლუკ უოლტონი | 15 | 19,1 | 3,3 | 2,3 | 7,3 |
| ჯორდან ფარმარი | 15 | 16,3 | 1,5 | 1,3 | 5,1 |
| რონი ტურიაფი | 13 | 9,6 | 1,8 | 0,4 | 2,1 |
| ილუნგა მბენგა | 7 | 4,3 | 1,3 | - | 1,4 |

# ფინალი და, რა ფინალი!
## სელტიქსი და ლეიკერსი კარგად დავიწყებულს გაიხსენებენ

**ფინალის** დროც დადგა, მერედა, როგორი ფინალის! ძველი მოსისხლეების ახალი ჯახის მოლოდინში მთელი ამერიკა ხელებს იფშვნეტს. 2008 წლის ჩემპიონობისთვის შეიბმებიან არა რამდენიმე წლით მოძლიერებული, პროვინციულ ქალაქთა გუნდები, არამედ ამერიკული კალათბურთის ორი მძიმე კრეისერი, რომელთაც ათობით ომში გამოუვლიათ — „სელტიქსი“ 16-გზის ჩემპიონი გახლავთ, „ლეიკერსს“ კი 14 ფინალი მოუგია. ვინ შეიმატებს მორიგ ტიტულს, ამას ასე 10-14 დღეში გავიგებთ.

ფავორიტად „ლეიკერსი“ სახელდება, არა იმიტომ, რომ არცთუ დიდი ხნის წინ სამი ფინალი მოიგო და ბოლო. წლებში უფრო მძლავრობს, ხოლო „ბოსტონი“ 1987 წლის შემდეგ პირველად გასცდა აღმოსავლეთს, შარშან კი საერთოდ ჯაგლაგი გუნდი ჰყავდა. ლოსანჯელესელთა ფავორიტობა წმინდა საკალათბურთო ნიუანსებს ეყრდნობა და ფსიქოლოგია არაფერ შუაშია. ფილ ჯეკსონის გუნდში თვალში აღარ გეცემათ შაკილ ონილი, ვინც თავის დროზე ბევრი მილეწ-მოლეწა და კალიფორნიელებს სამი ჩემპიონობა მოუტანა. დევშაკის დრომ ჩაიარა და „ლეიკერსი“ ბოლოს და ბოლოს მის გარეშეც იქცა მძლავრ ძალად. მთავარი ისაა, რომ კობი ბრაიანტმა გახსნა მანამდე დახშული სასმენელი და კარგად გაითავისა მწვრთნელის შეგონებები გუნდურ თამაშზე და პასის ძალაზე. სწორედ ამის შემდეგ დაასახელეს ის სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ, მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკურად კობის ბევრად თვალისმომჭრელი სეზონებიც ჰქონდა. მაგალითად, 2005-06 წლებში სულ მიყოლებით ჩაარიხინა 50-ქულიანი თამაშები და საშუალოდ 34-ქულიანი მონაგრით, მაგრამ პლეიოფის პირველ წრეში სასტიკად დამარცხებული წავიდა ზაფხულის არდადეგებზე.

მაგრამ მხოლოდ ბრაიანტი როდი გახლავთ „ლეიკერსის“ გამწევი ძალა. წლეულს ეს გუნდი ისეც რიგიანად ბურთაობდა, მაგრამ შუა რეგულარულში „მემფისს“ ჩალის ფასად რომ დასტყუა ესპანელი მეფარე პაუ გასოლი, მას შემდეგ მთლად დაუმარცხებელი შეიქნა. გასოლმა და ლამარ ოდომმა ნბა-ში ყველაზე თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი და თან მობილური წინა ხაზი შექმნეს და ბრაიანტს ზურგი გაუმაგრეს. ორივენი საკმაოდ გონებაგახსნილი მეპასეები არიან და ფილ ჯეკსონს საშუალებას აძლევენ, გუნდს ზესწრაფი კალათბურთი ათამაშოს.

ფავორიტი ფავორიტად, მაგრამ „ბოსტონიც“ არა ჯაბანი და დიდ ბრძოლას გაუმართავს მეტოქეს. მით უმეტეს, მოედნის უპირატესობა „კელტებს“ ეკუთვნით და მათ საკუთარი კედლები სამივე აღმოსავლელის, მათ შორის ზაზა ფაჩულიას „ატლანტას“ ძლევაში დაეხმარათ.

„ბოსტონსაც“ სამი ცეცხლისმფრქვეველი თავი აქვს — ძველ ვარსკვლავ პოლ პირსს სეზონის დაწყების წინ „მინესოტადან“ კევინ გარნეტი, ხოლო „სიეტლიდან“ რეი ალენი შეუდგნენ მხრებში და ამ სუპერსამეულმა რეგულარულში 82 თამაშიდან 66 მოაგებინა, რითაც უხეირო აღმოსავლელი ერთბაშად ფინალამდე გატყორცნა. სამივე პირველად მოხვდა საჩემპიონო სერიაში და მათ ტიტულის მოპოვება იქნებ ბრაიანტსა და მისიანებზე მეტადაც სურთ. შედარებით ცუდ ფორმაშია ალენი, ვინც „კლივლენდთან“ მეორე რაუნდი მთლიანად ჩააფლავა, შესაძლოა, იმის გამოც, რომ ყველაზე ასაკოვანია, მალე 33 წლისა შესრულდება. მაგრამ ბრაიანტის წინააღმდეგ თამაშში ის მაინც ყველაფერს ჩადებს, მით უფრო, რომ ჩემპიონობის შანსი იქნებ აღარც მიეცეს. შლეგი გარნეტი და ეშმაკი პირსი კი რიგიან ფორმაში არიან და 20-20 ქულად ფასობენ.

**ირაკლი ფირაშვილი**




## სერია მესამე. 1963
## სელტიქსი 4:2 ლეიკერსი
# მეხუთედ და უზეიმოდ

**„ბებერი** გუნდია „ბოსტონ სელტიქსი“, შედედებული სისხლით და დახეთქილი ძარღვებით“ — წერდა 1963 წლის მარტში, პლეიოფის მსვლელობისას ჟურნალი „სპორტს ილუსტრეიტიდი“.

ამ „ბებერმა“ გუნდმა კი რამდენიმე კვირაში ზედიზედ მეხუთედ მოიგო ფინალი. მაგრამ მისი „მოხუცებულობის“ ლეგენდა უსაფუძვლოდ როდი აგორდა. სუპერგამთამაშებელი ბობ კოუზი 34 წლისა მოყრილიყო და ბოლო სეზონს ატარებდა. თითქმის მისი ტოლი გახლდათ უკანა ხაზში მისი მეწყვილე ბილ შარმენი. თანაც ადრე თუ გვიან გამარჯვებებიც ხომ უნდა მოგყირჭდეს? ჰოდა, მედიამაც „სელტიქსი“ დაღმავალ გუნდად ჩათვალა.

მაგრამ სულ სხვა აზრზე იდგნენ თავად „კელტები“. მათმა ეშმაკმა დამრიგებელმა რედ აუერბახმა იმ სეზონის წინ კიდევ ერთი ვარსკლავი აღმოაჩინა. სადღაც იპოვა და გუნდში მიიყვანა ერთი შეხედვით მოუხეშავი, მაგრამ შემდეგ წლებში ნბას დამპყრობი ჯონ ჰავლიჩეკი. აუერბახის ბასრი თვალი დღისით, მზის შუქზეც ამჩნევდა შორეულ ვარსკვლავებს. იდგა მოედნის პირას და ღიმილით მიჰყავდა თავისი გუნდი მორიგი ჩემპიონობისკენ. „თავდაპირველად მე ის არ მომეწონა — ამბობდა აუერბახის ერთი ოპონენტი მწვრთნელი — მაგრამ შემდეგ საერთოდ შემზიზღდა.“

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ რეგულარულ ჩემპიონატში „ბოსტონის“ შინაურ თამაშებზე დარბაზი ნახევრად ცარიელი იყო, იმდენად ბევრს და იოლად იგებდნენ „კელტები“. ფინალებშიღა თუ გაივსო „ბოსტონ გარდენი“.

ჩემპიონებმა „ლეიკერსს“ მოუგეს პირველი ფინალური შეხლა და მეორეც მიაყოლეს. სერია ლოს ანჯელესში რომ გაგრძელდა, „ლეიკერსი“ თითქოს გამოცოცხლდა და მესამე თამაშში 119:99 წალეკა მეტოქე, მაგრამ მეოთხე ისევ „ბოსტონისა“ იყო და ის თავს უკვე ჩემპიონად თვლიდა. „ჩვენ 3:1 წინ ვართ და ზედიზედ სამ თამაშს არასდროს ვაგებთ“ — ამაყად აცხადებდა აუერბახი. მაგრამ „ლეიკერსმა“ მას ცოტათი მაინც აუწეწა ნერვები. ბოსტონში გამართულ მეხუთე შეხვედრაში მასპინძელთა ფორვარდი ტომ ჰეინსონი უხეშობისთვის გააგდეს, ბობ კოუზი კი ჯარიმათა ლიმიტის ამოწურვის გამო. ელჯინ ბეილორმა და ჯერი ვესტმა კი „ლეიკერსს“ ჯამში 75 ქულა შესძინეს და სერიაში ჩამორჩენა 2:3 შეამცირეს.

მეექვსე თამაშს ლოს ანჯელესი მასპინძლობდა. დარბაზის მიდამოები დაწყებამდე ორი საათით ადრე კრაზანების ავად მოზუზუნე ვეება ბუდეს დაემსგავსა. გადამყიდველებში ბილეთის ფასი გაათმაგდა. მაგრამ სადღა იყო ბილეთები, 5000 კაცი გარეთ დარჩა.



ორი ლეგენდა: ჯერი ვესტი და ჯონ ჰავლიჩეკი

პირველი ტაიმი „ბოსტონისა“ იყო. ჩემპიონი სრულიად ამართლებდა უძლეველის სტატუსს. ახალბედა ჰავლიჩეკმა პირველ ნახევარში ზედიზედ 11 ქულა ჩააგდო და ტაიმი 14 ქულით მოაგებინა „კელტებს“. მაგრამ მეორეში კოუზი დაშავდა და აუერბახმა დაასვენა, „ლეიკერსმა“ კი იმდენი ქნა, რომ ბოლო წუთებისთვის სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა. 15 000 ლოსანჯელესელი წამით არ ჩუმდებოდა, დარბაზი სტუმართათვის ავად გუგუნებდა. მაგრამ აი, ჰეინსონმა ვესტს ჩაუჭრა და კოუზის მისცა პასი. „ბოსტონის“ „ბებერ“ გამთამაშებელს ბურთის წასართმევად მთელი „ლეიკერსი“ დაესია, მაგრამ ის ყველას ირიდებდა და თავისი კარიერას ბოლო წამები ასე, ცეკვა-ცეკვით გაჰყავდა. დროც ამოიწურა, კოუზიმ ბურთი ჰაერში შეისროლა და მწვრთნელის მკლავებში აღმოჩნდა.

„გეთაყვათ, აბა, კიდევ ერთხელ გამიმეორეთ, რომ ჩვენ ბებერი გუნდი ვართ, ლოს ანჯელესი კი მსოფლიო კალათბურთის დედაქალაქია“ — ირონიულად ეკითხებოდა აუერბახი დამმარცხებელ ლოსანჯელესელ რეპორტიორებს.

„კელტებს“ გასახდელში დიდი ზეიმი არც მოუწყიათ. „რა იყო საზეიმო? — მშვიდად იკითხა ჰეინსონმა — ჩვენ უკვე ზედიზედ მეხუთე მოვიგეთ.“

**ირაკლი ფირაშვილი**

**როლან გაროსი 2008. პარიზი. თიხა**
**26 მაისი — 8 ივნისი. საპრიზო 13 796 000 ევრო**

# საით მიფრინავს საფინა?!

**კაცები**

**მეოთხედფინალი**

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ფერნანდო გონსალესი (24, ჩილე) 2:6 6:2 6:3 6:4; გაელ მონფილზი (საფრანგეთი) — დავიდ ფერერი (5, ესპანეთი) 6:3 3:6 6:3 6:1

**ქალები**

**მეოთხედფინალი**

სვეტლანა კუზნეცოვა (4, რუსეთი) — კაია კანეპი (ესტონეთი) 7:5 6:2; დინარა საფინა (13, რუსეთი) — ელენა დემენტიევა (7, რუსეთი) 4:6 7:6 6:0

**წლევანდელი** „როლან გაროსის“ ტიტული ქალთა შორის უეჭველად სერბულ-რუსულ დაპირისპირებაში გათამაშდება. ეს საბოლოოდ გუშინ გაირკვა, როცა მეორე ნახევარფინალური წყვილი ჩამოყალიბდა — ფინალის საგზურისთვის სვეტლანა კუზნეცოვა და დინარა საფინა იბრძოლებენ.

საამისოდ ორივემ სხვადასხვანაირი გზა გაიარა — თუ კუზნეცოვამ იოლად იხეირა, საფინამ ისევ ბეწვის ხიდზე გაიარა, ზედიზედ მეორე შევხედრაში მცირე სასწაული ჩაიდინა და თითქმის წაგებული მატჩი შემოატრიალა. მარატ საფინის უმცროსი და აშკარად გამოდის ძმის ჩრდილიდან და მყარად იმკვიდრებს ადგილს საჩოგბურთო ელიტაში.

საფინამ კიდევ ერთი ტრილერი გამოაცხო და მაყურებელი თუ სპეციალისტი, ყველა მოხიბლა ყველაზე საჭირო მომენტში ძალების მოკრეფვისა და გამარჯვებისკენ სწრაფვის გასაოცარი უნარით.

დემენტიევასთან შეხვედრა საფინამ ისევე დაიწყო, როგორც წინა წრეში მარია შარაპოვასთან — თავიდან როგორღაც შებოჭილი იყო, თითქმის არ უტევდა და პასიურობდა. ამით მშვენივრად ისარგებლა დემენტიევამ, რომელმაც მალევე მოიპოვა უპირატესობა, სეტის შუაწელზე გატეხა კიდეც მეტოქე და დაწინაურდა კიდეც. მეორე პარტიაც ელენას კარნახით დაიწყო, რომელმაც ისევ უცბად დააბრეიკა მეტოქე და კვლავ წინ გაიჭრა. დემენტიევა თითქოს „განწირული“ იყო მოსაგებად, რადგანაც მისი ყბადაღებული მოწოდებაც წესრიგში იყო — აქ ძნელად ვინმე თუ წარმოიდგენდა, რომ საფინა მოახერხებდა ისეთივე ფანდის გახერხებას, რაც წინა წრეში მარია შარაპოვას გაუკეთა. მალე ეს მოსაზრება რწმენაში გადაიზარდა, როცა ელენა 5:2 დაწინაურდა, საფინა კი თამაშის მაგივრად ჩოგნების მტვრევითა და მსაჯთან კამათით იყო დაკავებული.

მაგრამ ეტყობა დინარა თავის საუკეთესო თამაშს მაშინ აჩვენებს, როცა გამოსავალი თითქოს არსაიდან ჩანს. შარაპოვასთან შეხვედრისა არ იყოს, მან ახლაც ყოვლად თავზეხელაღებული და რისკიანი თამაში გააჩაღა, რამაც შედეგი ისევ მოიტანა. მართალია, საფინას გაუმართლა კიდეც, რადგანაც რამდენჯერმე ბურთი ზედ ხაზზე დასვა — არადა, ორი-სამი სანტიმეტრი და ტურნირს დაემშვიდობებოდა — მაგრამ როგორც იტყვიან, ვინც რისკავს, შამპანურსაც ის სვამსო. საფინასაც ხომ დასაკარგი არაფერი ჰქონდა, ამიტომაც გარისკა, რამაც გაამართლა და ისიც ამისთვის მხოლოდ ქებას იმსახურებს.

მოკლედ, დინარამ საქმე ტაიბრეიკამდე მიაჯახირა, სადაც უკვე აშკარა უპირატესობას ფლობდა და საჩოგბურთო ლატარიის მოგებით სეტებში ანგარიშიც გაათანაბრა. დემენტიევას კი მეტოქეზე ნაკლები ნებისყოფა აღმოაჩნდა, რადგანაც მესამე სეტში თავის თავს აღარ ჰგავდა და აშკარად ხელი ჰქონდა ჩაქნეული. შედეგად, საფინამ თანამემამულეს გეიმიც არ აალებინა და კარიერაში პირველად უწია სლემტურნირის ნახევარფინალს.

„მეორე სეტის მიწურულს თამაში აბსოლუტურად შევცვალე და ამან გაამართლა. თანაც ელენა თითქოს ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ აღმოჩნდა, რადგანაც გამარჯვებამდე არცთუ ბევრი აკლდა. ამან ის აშკარად აანერვიულა. მართლაც სასწაული შეხვედრა მოვიგე“ — ნამატჩევს ემოციებს ვერ მალავდა საფინა.

ახლა დინარას კიდევ ერთ ბობოლა თანამემამულესთან მოუწევს დაჯახება, რომელიც სავარაუდოდ, წინა ორზე ძნელად წასაქცევი იქნება. კუზნეცოვა სერიოზულად არის დაგეშილი ტიტულზე და შარაპოვა-დემენტიევასგან განსხვავებით თავის შანსს აუცილებლად გამოიყენებს. გუშინაც ასე იყო, როცა კაია კანეპიმ უკეთ დაიწყო და პირველ სეტში 4:2 დაწინაურდა, მაგრამ სვეტლანა ოდნავ ტონუსში შევიდა თუ არა, ესტონელი პირწმინდად გადაჯეგა და დაანახვა, რომ სხვადასხვა დონეზე ჩოგნაობაენ.

ორი მეოთხედფინალი გაიმართა კაცთა შორისაც. პირველი მათგანი ძალიან მოულოდნელად დაიწყო და სენსაციის სუნიც აუვიდა, როცა ფერნანდო გონსალესმა ძალიან დამაჯერებლად მოუგო პირველი სეტი როჯერ ფედერერს — ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ჩილელმა გოროზი მეტოქე სამჯერ დააბრეიკა. თითქოსდა სრულდებოდა სამხრეთ ამერიკელის მატჩის წინა დანაქადნევი, როჯერს ნამდვილ ომს გავუმართავო.

თუმც ეს იყო და ეს — ფედერერი მეორე სეტიდან ჩაირთო და გაგულისებულ ჩილელს თავისი ადგილი მიუჩინა. ალპელმა უპირველესად მოწოდებაზე თამაში გამოასწორა, თანდათან ტემპსაც უმატა და გაყოყოჩებული მეტოქე ბუშტივით ჩაფუშა.

ალპელმა ზედიზედ მე-16 სლემტურნირის ნახევარფინალს უწია და ახლა ეცდება „როლან გაროსის“ ზედიზედ მესამე ფინალში თამაშის უფლება მოიპოვოს — შეგახსენებთ, რომ ეს ერთადერთი მეიჯორია, რომელიც მას ჯერ ვერ დაულაშქრავს.

**კახა ლომაშვილი**



გაელ მონფილზმა პირველად უწია სლემტურნირის ნახევარფინალს



რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი





ბერნი ეკლსტოუნისა (მარცხნივ) და მაქს მოსლის გზები გაიყო

# მოსლიმ მოიგო, მაგრამ...
## ეკლსტოუნი: არც არაფერი შეცვლილა

**ავტოსპორტის** საერთაშორისო ფედერაციის (FIA) გენერალურმა ასამბლეამ, თავის საგანგებო სხდომაზე, რომელიც პარიზში გაიმართა, FIA-ს ბრიტანელ პრეზიდენტ მაქს მოსლის ნდობა გამოუცხადა, რათა ამ უკანასკნელმა თავისი საპრეზიდენტო მანდატის უფლებამოსილების გასვლამდე, ანუ 2009 წლის ბოლომდე უხელმძღვანელოს ფედერაციას.

შეგახსენებთ, რომ საგანგებო სხდომის მოწვევა მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც მოსლის თაობაზე სკანდალი აგორდა, აქაოდა, FIA-ს თავკაცის სექსუალური მიდრეკილებები სადო-მაზოხისტურ ხასიათს ატარებს და თანაც, ის პროფაშისტური ორიენტაციის პიროვნებააო.

ამ სკანდალს გვარიანი რეზონანსი ჰქონდა და ავტოსამყაროსთან დაკავშირებული მრავალი გავლენიანი ადამიანი მოსლის დაუყოვნებლივ გადადგომას ითხოვდა. მთლად ასეთი კატეგორიული არ იყო, მაგრამ FIA-ს თავკაცს წლის ბოლოსთვის წასვლა ურჩია ფორმულა 1-ის ფაქტობრივმა გამგებელმა ბერნი ეკლსტოუნმაც.

წმინდა ადგილი ცარიელი არ რჩებაო და, როგორც კი მოსლის შესაძლო წასვლის შესახებ ხმები აგორდა, FIA-ს პრეზიდენტობის არაერთი მსურველი გამოჩნდა. მაგალითად, „ფერარის“ ყოფილი ბოსი, საპირველფორმულო სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა ჟან ტოდტი, ახლო წარსულის ცნობილი მეფორმულე და „ტორო როსოს“ თანამფლობელი გერჰარდ ბერგერი, კომპანია „დაიმლერ-კრაისლერის“ ყოფილი თავკაცი იურგენ ნიუბერტი და თქვენ წარმოიდგინეთ, საფრანგეთის პრემიერმინისტრი ფრანსუა ფილონიც კი.

პრეზიდენტობის მსურველები ბჭობდნენ, მოსლი კი იცინოდა. ის ადრევე ამბობდა, გენერალური ასამბლეის წევრთა უდიდესი ნაწილი ჩემი მომხრეაო და პარიზულმა სხდომამ ასეც გადაწყვიტა — 103 ხმა მოსლის სასარგებლოდ და 55 წინააღმდეგ. შვიდმა დელეგატმა თავი შეიკავა, ხოლო ოთხი ხმა ბათილად იქნა ცნობილი.

გენერალური ასამბლეის ამ გადაწყვეტილებას საკმაოდ ნეგატიური რეზონანსი მოჰყვა, აქაოდა, FIA-ს სათავეში ასეთი სახელგატეხილი კაცის დარჩენით, საავტომობილო სპორტის სამყარო გაიხლიჩება და ამავდროულად, სპონსორებსა და ქომაგებს დაკარგავსო. მათ შორის, ვინც ასეთი აზრი გამოთქვეს, არიან ფორმულა 1-ის ყოფილი ჩემპიონი დეიმონ ჰილი, გერმანიის საავტომობილო სპორტის ფედერაცია და კიდევ მრავალი კერძო პირი თუ ორგანიზაცია.

ჩვენ კი ბერნი ეკლსტოუნს მოვუსმინოთ, რომელიც მიიჩნევს, რომ მოსლის ამ გამარჯვებით ბევრი არც არაფერი შეცვლილა და იმედოვნებს, რომ გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საავტომობილო სპორტის განადგურებას არ გამოიწვევს.

„ვიმედოვნებ, რომ ეს გადაწყვეტილება გავლენას არ მოახდენს სპონსორებსა და კონსტრუქტორებზე — განაცხადა ეკლსტოუნმა „როიტერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში და დაამატა, რომ არ იცის, როგორ მოიქცევა მოსლი მომავალში — მე სახალხოდ განვაცხადე, რომ ჯობდა, ის წლის ბოლოს წასულიყო. ახლა კი აღმოვჩნდით სიტუაციაში, როდესაც არავინ არ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები. არა მგონია, რომ იმ ხალხმა, ვინც აქამდე მოსვლის წინააღმდეგი იყო, ახლა აზრი შეიცვალოს. სავარაუდოდ, მოსლის გაუძნელდება თავისი მოვალეობების შესრულება, რადგანაც ის ადამიანები, რომლებსაც სკანდალის აგორების შემდეგ მასთან შეხვედრა არ უნდოდათ, კვლავაც იმავე პოზიციაზე არიან“.

**კახა ლომაძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge